საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცრუეა, ცრუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 10-11 აგვისტო. 2022 წ. №115-116 (9453-9454) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დაბოღმილი ბარბარუსი...



6-8

ვემზადოთ თუ არა რუსეთის თავდასხმისთვის? – რა გვითხრა „რუსმა ხუნდაძემ“ მედვედევმა

რუსული კოლონიალიზმი: კრემლის მითები და რეალობა

პუტინის რეჟიმი საკუთარ ტყუილებში საბოლოოდ გაიხლართა. იმ მცდელობებში, რომლებშიც თავისი დანაშაულებრივი ქმედებები უნდა, რომ, გაამართლოს, პასუხისმგებლობა მსხვერპლთ და რაღა თქმა უნდა, დასავლეთს გადააკისროს, მას „პირველი ჩვენება“ ავიწყდება და უკვე ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს.

აშშ ვერ იტყვის ივანიშვილზე ან ნებისმიერ სხვაზე, არის თუ არა ოლიგარქი!

2

ტრამპი: დღეს ამერიკაში ბნელი დროა!

არ არსებობს მთა, რომელზეც ვერ ავალთ, არ არსებობს მწვერვალი, რომელსაც ვერ მივაღწევთ, არ არსებობს გამოწვევა, რომელსაც ვერ გადავლახავთ, არ არსებობს გამარჯვება, რომელსაც ვერ მოვიპოვებთ, – განაცხადა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვიდეომიმართვაში, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) მიერ მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ გავრცელდა.

„აშშ გახდა ქვეყანა, რომელიც სამართალდამცველებს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ იარაღად იყენებს. მსგავსი არაფერი გვინახავს“, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა. ვიდეომიმართვაში დონალდი ასევე ადანაშაულებს ბაიდენის ადმინისტრაციას იმაში, რომ „რუსეთს საშუალება მიეცა გაენადგურებინა უკრაინა“. **„ჩვენ გავხდით ქვეყანა, რომელიც უამრავი თვალსაზრისით დასაცინი გახდა, თუმცა მალე სიდიადეს დავიბრუნებთ“,** – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

იხ. 10 გვ.

საპენსიო რეფორმის მილიარდები!..

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახურმა ივლისის თვის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგები 2019 წლიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით 36.19%-ია, ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 0,96% შეადგინა. საპენსიო ფონდმა 2022 წლის მარტის თვიდან დაიწყო აშშ დოლარის შესყიდვა და 31 ივლისის მდგომარეობით საინვესტიციო პორტფელის 18.2% განთავსებულია აშშ დოლარში, ხოლო 81.8% ლარში.

ამ დროისთვის, საპენსიო აქტივების წმინდა ღირებულებამ 2.514 მლრდ ლარი შეადგინა. აქედან, საინვესტიციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ამონაგები 346 მილიონი ლარია, დაგროვებითი პენსიით კი, ივლისის თვის მდგომარეობით 2 267-მა პირმა ისარგებლა. მათზე გაცემულმა თანხამ შეადგინა 5 072 564.85 ლარი.

4

ნავთობის ფასი ომამდელ ნიშნულს ჩამოსცდა...

ყველა საწვავის გაიაფებას ადასტურებს

ოქროს სადარი ვერცხლი

მოულოდნელად გაიხსნა კვანძი გუშინ ინდოეთის ქალაქ ჩენაიში დასრულებული საჭადრაკო ოლიმპიადის ქალთა ტურნირში, რამაც საქართველოს ნაკრებს ოქროს ტოლფასი ვერცხლის მედლები მოუპოვა.

ბოლო ტურის წინ მასპინძლები ერთი ქულით უსწრებდნენ ჩვენს გუნდს, აზერბაიჯანს, პოლონეთსა და უკრაინას, მაგრამ სენსაციურად დამარცხდნენ ამჯერად უჩვეულოდ სუსტად მოთამაშე ამერიკელებთან — 1:3, რამაც ტიტულისკენ მათ მეტოქეებს აუნთო მწვანე შუქი.

აღსანიშნავია, რომ კონკურენტთა მონაწილეობით გამართული დანარჩენი შეხვედრებიც ამავე ანგარიშით დასრულდა: საქართველო — აზერბაიჯანი 3:1, უკრაინა — პოლონეთი 3:1.

საბოლოოდ, უკრაინელებმა უკეთესი კოეფიციენტებით გაგვისწრეს და საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, ჩვენ კი მეორე ადგილი დავიკავეთ (18-18 ქულა).

სამწუხაროდ, კარგად აღებული სტარტის შემდეგ შეგვარცხვინეს ვაჟებმა, რომლებმაც ფინიშზე ეგვიპტეს ვერ მოუგეს — 2:2.

ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ: ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ, ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, რაც აქ ჩამოვედი, თითქმის ყოველი დღე ვცდილობდი საქართველოს პოლიტიკური ლიდერების გაერთიანებას და ვცდილობდი მათ დახმარებას იმ ღრმა პოლარიზაციის დასაძლევად, რაც აქ არსებობს, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა „ფორმულას“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, გულდასაწყვეტია იმის მოსმენა, რომ ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ეს სიმართლეა, ცდილობენ, დაადანაშაულონ დასავლელი პარტნიორები იმაში, რომ ისინი არიან პასუხისმგებელი საქართველოში არსებულ ღრმა პოლარიზაციასა და პოლიტიზებულ გარემოზე.

„ეს, უბრალოდ, სიმართლეს არ შეესაბამება, როდესაც ამდენი ვიმუშავეთ, რათა დავხმარებოდით საქართველოს ამის გადალახვაში. ხალხისთვის გულდასაწყვეტია იმის მცდელობა, რომ დაადანაშაულონ საქართველოს დასავლელი პარტნიორები იმაში, რაც საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ შექმნა და საჭიროებს აღმოფხვრას“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

ᲐᲨᲨ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲐᲜ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲮᲕᲐᲖᲔ, ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲚᲘ�გᲐᲠᲥᲘ!

ᲐᲨᲨ ვერ იტყვის ბიძინა ივანიშვილზე ან ნებისმიერ სხვაზე, არის თუ არა ოლიგარქი, ეს ქართველმა ხალხმა უნდა განსაზღვროს, — ამის შესახებაც აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმ განაცხადა.

„მიდგომა, რომელიც მიჰყვება ძირეულ მიზეზს, რაც არის არასათანადო გავლენა, ფული ან პირადი გავლენა, რაც მოქმედებს პოლიტიკურ, სასამართლო და ოფიციალურ პროცესებზე, არის ის ძირეული რამ, რის მიღწევასაც ეს კანონი, დეოლიგარქიზაციის კანონი უნდა ცდილობდეს. რთულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელოვანესია. არის სხვა ქვეყნები, რომლებიც იმავე გამოწვევას ებრძვიან. მაგრამ, თითოეულმა ქვეყანამ უნდა მოძებნოს საკუთარი ფორმულა ამ პრობლემის გადასაჭრელად. იმედი მაქვს, ეს სამუშაო ჯგუფები ამ მხრივ პროდუქტიული იქნება“.

ამასთან, აშშ-ის ელჩმა ისაუბრა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე და განაცხადა, რომ შეხვედრისას ისაუბრეს ამერიკა-საქართველოს პარტნიორობაზე და მრავალ სხვა სფეროზე, სადაც აშშ ცდილობს, მხარი დაუჭიროს საქართველოს განვითარებას.

„ცხადია, არ მსურს ბატონი ივანიშვილის მოტივებზე ვარაუდების გამოთქმა. ჩემი მხრიდან შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ, როგორც წესი არ ვასაჯაროებთ პირად შეხვედრებს. იქნება ეს ბატონ ივანიშვილთან, თუ ვინმე სხვასთან. უბრალოდ დიპლომატიისთვის არ არის მიღებული წესი, ასე მოიქცეს. თუ კი მეორე მხარეს ურჩევნია, რომ არ გასაჯაროვდეს, მაგრამ როგორც კი გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავად საუბრობდა ამ შეხვედრაზე, მე დავადასტურე, რომ ჩვენ შევხვდით და ვისაუბრეთ ამერიკა-საქართველოს პარტნიორობაზე და მრავალ სხვა სფეროზე, სადაც აშშ ცდილობს, მხარი დაუჭიროს საქართველოს განვითარებას.

ცხადია, ბატონი ივანიშვილი ძალიან გავლენიანი ქართველია, ის ძალიან წარმატებული ბიზნესმენია და ამიტომ, ნორმალურია, რომ გვსურს მასთან შეხვედრა, როგორც საქართველოს ბევრ სხვა მოქალაქესთან. სინამდვილეში, სწორედ ეს არის დიპლომატების საქმიანობა. ჩვენი ამოცანაა, შევხვდეთ რაც შეიძლება ბევრ სხვადასხვა წარმომადგენელს ქვეყანაში. ამ შეხვედრაზე ასევე გვქონდა შესაძლებლობა, გვესაუბრა შეერთებული შტატების ერთგულებაზე საქართველოს მიმართ. ჩვენს ძალისხმევაზე, რომ მრავალმხრივი მხარდაჭერა უზრუნველყოთ საქართველოსთვის ჩვენი საქმიანობით“.

* * *

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ იყო და არის საქართველოს NATO-სა და ევროკავშირში გაწევრების ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი. ეს არის ის, რაზეც ჩვენ ძალიან ღიად ვსაუბრობდით, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა სოფო ზურაბიანის პოლიტიკის ფორმულაში.

„ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡᲘ“ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲐᲓ ᲣᲖᲦᲣᲓᲐᲕᲡ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ ᲬᲕᲓᲝᲛᲐᲡ!

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ფირმა „ემ ქეი დი“ „კრედიტ სუისთან“ დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, საბანკო ტრასტები არათუ არ ასრულებენ დავალებებს, რითაც არღვევენ კლიენტის უფლებებსა და ვნებენ მის ინტერესებს, არამედ უკვე საკმაო ხანია, საერთოდ აღარც კი პასუხობენ კლიენტის წარმომადგენელთა წერილებსა და კითხვებს.

ასევე, განცხადებაში ნათქვამია, რომ ბანკი პრინციპულად უზღუდავს ბიძინა ივანიშვილს წვდომას თავის საბანკო რესურსებზე.

„მოგეხსენებათ, საზოგადოებას პერიოდულად ვაწვდით ინფორმაციას „კრედიტ სუისს“-სთან ურთიერთობისა და ბანკის მიერ ბ-ნი ივანიშვილის მიმართ ჩადენილი დარღვევების შესახებ. ამჯერადაც, განახლების სახით გაცნობებთ შემდეგს, კერძოდ, „კრედიტ სუისს“-ის ორი საბანკო ტრასტის მხრიდან დარღვევებზე: ბ-ნი ივანიშვილის მხრიდან ერთი საბანკო ტრასტისთვის მიცემული ინსტრუქციიდან ოთხი თვე მიილია, ხოლო მეორე ტრასტისთვის გაცემული დავალებიდან — ორი თვე. საბანკო ტრასტები ამ პერიოდის განმავლობაში არათუ არ ასრულებენ დავალებებს, რითაც არღვევენ კლიენტის უფლებებსა და ვნებენ მის ინტერესებს, არამედ უკვე საკმაო ხანია საერთოდ აღარც კი პასუხობენ კლიენტის წარმომადგენელთა წერილებსა და კითხვებს. შესაბამისად, ბანკი პრინციპულად უზღუდავს ბ-ნ ივანიშვილს წვდომას თავის საბანკო რესურსებზე, რაც, ვფიქრობთ, უპრეცედენტოა საბანკო ისტორიაში“, — ნათქვამია განცხადებაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲡᲐᲪ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ.

„საქართველოს ეროვნული ბანკი სახსრების განთავსებისა და სხვადასხვა, ერთი შეხედვით მაღალშემოსავლიან, სქემებში ინვესტირების რისკებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2013 წლიდან, პერიოდულად აფრთხილებს მოქალაქეებს. კერძოდ, კომპანიები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ კონტროლდება რომელიმე საზედამხედველო ორგანოს, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ, შესაძლოა, ფიზიკურ პირებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნესსაქმიანობაში თანხის დაბანდებას სთავაზობდნენ. რიგ შემთხვევაში კი მათი საქმიანობა, „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელის ნიშნებსაც ატარებს.

ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებსა და მედიასივრცეში გააქტიურდნენ ისეთი კომპანიები, რომლებიც ინტენსიური სარეკლამო კამპანიის საშუალებით, მოსახლეობას მოკლე ვადაში ბაზრისთვის არაადეკვატურად მაღალი სარგებლის მიღებას სთავაზობენ. უნდა აღინიშნოს, რომ „ფინანსური პირამიდის“ კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, აღნიშნული კომპანიები თანხის გამომუშავებისთვის მომხმარებლებს არ სთავაზობენ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგალითად ანგარიშზე (დეპოზიტზე) თანხის განთავსებას, შესაბამისად, მათგან ფულად სახსრებს პირდაპირ არ იზიდავენ. თუმცა, თანხის გამომუშავების სანაცვლოდ მომხმარებლებს სხვადასხვა მოქმედებების შესრულებას თხოვენ, რაც, მათ შორის, შეიძლება მოიცავდეს კომპანიის სხვადასხვა მომსახურების გამოწერას, ონლაინ სივრცეში სარეკლამო შინაარსის შემცველი ინფორმაციის გაცნობას, გავრცელებას და ამავე მიზნით ახალი მონაწილეების მოწვევას. საყურადღებოა, რომ ამ ტიპის საქმიანობის მთავარი მიზანი, ფინანსური პირამიდის მსგავსად, სქემაში რაც შეიძლება ბევრი ახალი წევრის ჩართვა და მათი სახსრების არაპირდაპირი გზით მოზიდვა და არა ბიზნესის განვითარებაა. ამასთან, რაც უფრო მეტი ადამიანი ერთვება, მით უფრო იზრდება სქემის სიცოცხლისუნარიანობა.

ასეთი პირამიდული სქემები, რომლებიც შესაძლებელია მრავალი სახით არსებობდეს, გარკვეულწილად მდგრადია მისი შექმნის მხოლოდ საწყის ეტაპზე, მანამ, სანამ სქემაში ახალი მონაწილეების მოზიდვის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად წარმატებული ჩანს ასეთი კომპანია დროის რომელიმე მომენტში, სქემა აუცილებლად იშლება, როდესაც შეუძლებელი ხდება ახალი წევრის ან დამატებითი თანხის მოზიდვა და, შედეგად, კომპანია ვეღარ ისტუმრებს წევრების მიმართ არსებულ ვალდებულებებს.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ პერიოდში პოპულარული მსგავსი სქემების შესახებ სოციალურ ქსელებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მომხმარებლისთვის ცნობილია სქემის რისკიანობის შესახებ, ხშირად ისინი შეგნებულად ერთვებიან ამ სქემებში იმის იმედით, რომ მათ მიერ ინვესტირებული თანხის გამომუშავებას სქემის დაშლამდე შეძლებენ. თუმცა, მსგავსი მიდგომა მაღალი რისკის შემცველია, რამდენადაც სქემის დაშლის მომენტის წინასწარ განჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია.

საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე, უპირველეს ყოვლისა, წინასწარ მოიძიონ ინფორმაცია კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის, ასევე მისი გადამხდელუნარიანობის მდგომარეობის შესახებ, გაარკვიონ, რეგულირდება თუ არა ასეთი კომპანია რომელიმე უწყების მიერ, და მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება“!

ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲛ, ᲘᲐᲡᲙᲝᲛ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲩᲐᲠᲔᲜᲙᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲛᲐᲡᲮᲠᲐᲓ ᲐᲘᲒᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᲭᲘᲭᲔ“ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲣᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ!

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲣᲣᲥᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲛ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲡ, ᲘᲐᲡᲙᲝᲡ, �გᲝᲜᲩᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐ 225 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲗᲘᲚᲐᲓ ᲪᲜᲝ 225 ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲒᲖᲘᲡᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲡ.

„ᲑᲝᲚᲝ ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ რამდენჯერმე მიმართა სახალხო დეპუტატებს პასპორტების დაბრუნების თხოვნით და დაუკავშირდა უმაღლეს რადას ამ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით. ბოლოს ჩვენ მათ პასპორტების დაბრუნება ივლისში ვთხოვეთ. მიმართვები უგულებელყოფილი იყო.

შესაბამისად, უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 225 სახალხო დეპუტატის დიპლომატიური პასპორტები გააუქმა, რომლებიც დროულად არ დაუბრუნდა საგარეო საქმეთა სამინისტროს.“

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განმარტეს, სახალხო მოადგილეებზე დიპლომატიური პასპორტები გაიცემა ექსკლუზიურად ოფიციალური მივლინებისთვის. პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული დიპლომატიური პასპორტის შესახებ დებულების თანახმად, მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, ათი დღის ვადაში დიპლომატიური პასპორტები შესანახად საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა დაუბრუნდეს. ასევე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი გამოყენება კერძო მოგზაურობისთვის.

„მინისტრი დაუყოვნებლივ გასცემს დიპლომატიურ პასპორტებს იმ დეპუტატებზე, რომლებიც ოფიციალურ მივლინებებში გაემგზავრებიან“, — აცხადებენ სამინისტროში.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲠᲐᲓᲐᲡ ᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲡ, ᲚᲘᲖᲐ ᲘᲐᲡᲙᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲔ ᲒᲝᲜᲩᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡ, ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲣᲥᲛᲐ.

ცესკოს საგანგებო განცხადება

საარჩევნო ადმინისტრაცია, ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური ინსინუაციების მიზეზი გახდა. კერძოდ, პოლიტიკურად დაინტერესებული პირების მხრიდან ისმის მოსაზრებები, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილების მიზეზი შესაძლოა იყოს ცესკოს მოქმედი წევრების პოლიტიკური მიკერძოება ან, 2021 წლის არჩევნების ხარვეზებით ჩატარების ხაზგასმა. აღნიშნული კი აზიანებს არა მხოლოდ კონკურსში მონაწილე კონკრეტული პირების პროფესიულ ღირსებას, არამედ საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის რეპუტაციას.

ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევ კონკურსთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მან იხელმძღვანელა პოლიტიკური მოტივებით. პრეზიდენტი ეჭვქვეშ არ აყენებს ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის პროფესიონალიზმს, ასევე აფასებს მის გამოცდილებას და საქმიანობას, თუმცა ამავდროულად აღნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილების მიზანი, როგორც ცესკოს თავმჯდომარის, ისე წევრების შემთხვევაში, იყო საკონკურსო თანამდებობებზე უფრო ფართო პოლიტიკური კონსენსუსით შერჩეული კანდიდატურების გამოვლენა. ეს კი არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა კანდიდატების მიმართ აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებებით მათი დისკრედიტაცია ხდება, საკმაოდ რთულად მისაღწევია. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ კანდიდატებს შორის კვლავ არიან საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენ კოლეგებს კონკურსის შემდეგ ეტაპზე. ვფიქრობთ მათი კანდიდატურების წარდგენა საარჩევნო ადმინისტრაციის კიდევ ერთი აღიარება და იმის დასტურია, რომ უწყების სანდოობის პრობლემა არ დგას.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მუშაობს დემოკრატიული პრინციპების დაცვით, მაღალი პროფესიული სტანდარტით, გამჭვირვალედ და სამწუხაროა, რომ ამ ინსტიტუციის და მისი წარმომადგენლების საქმიანობის შეფასება არა ობიექტური კრიტერიუმებით, არამედ პოლიტიკური მოტივებით ხდება.

აქვე, გვინდა საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ პრეზიდენტის მიერ კონკურსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი თავმჯდომარე, კანონის შესაბამისად, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. მოქმედი თავმჯდომარე, ისევე როგორც ცესკოს 2 წევრი, მოვალეობას შეასრულებენ იმ დრომდე, სანამ კანონმდებლობის დაცვით მათი შემცვლელები არ იქნებიან არჩეულნი“, – აღნიშნულია ცესკოს განცხადებაში.

> სალომე ზურაბიშვილის განმარტებით, ცესკოს თავმჯდომარედ და წევრად მუდმივად ერთი და იგივე კანდიდატურების წარდგენა და მათი მხოლოდ 6 თვის ვადით არჩევა ხელს არ უწყობს ცესკოს ინსტიტუტის გაძლიერებას და განვითარებას.

მმართველი გუნდი ემიჯნება „სახელმწიფო ინტერესების დისკრედიტაციის პროცესს“ და პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატების კენჭისყრაში მონაწილეობას არ აპირებს. უმრავლესობისთვის გაუგებარი და უსაფუძვლოა ის გადაწყვეტილება, რაც პრეზიდენტმა მიიღო. კერძოდ, პრეზიდენტმა ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი მორიგი ვადით ასარჩევად არ წარადგინა. „ქართული ოცნება“ თვლის, რომ პირდაპირ იკვეთება პრეზიდენტის ჩართულობა და მონაწილეობა იმ ნარატივში, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ატარებს, რომ მოახდინოს სახელმწიფო ინტერესების დისკრედიტაცია.

მორიგი სამარცხვინო პოლარიზაცია პრეზიდენტსა და პოზიციას-ოპოზიციას შორის!

თავად, **სალომე ზურაბიშვილმა** განმარტა, რატომ არ წარუდგინა პარლამეტს ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის კანდიდატურა. პრეზიდენტის არგუმენტით, ცესკოს თავმჯდომარედ და წევრად მუდმივად ერთი და იგივე კანდიდატურების წარდგენა და მათი მხოლოდ 6 თვის ვადით არჩევა ხელს არ უწყობს ცესკოს ინსტიტუტის გაძლიერებას და განვითარებას.

საქართველოს პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე პარლამენტს ასარჩევად წარუდგინა **თამარ ალფაიძისა** და **რევაზ ეგაძის** კანდიდატურები, ხოლო ცესკოს წევრის ერთ თანამდებობაზე – **ძრისტინე ძაჯაიასა** და **ლევან ისაკაძისა.** პრეზიდენტი თვლის, რომ როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული კომენტარები და ყოვლად უსაფუძვლო დასკვნები სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პოლიტიკური პოლარიზაციის მეტად გაღრმავების მცდელობა.

ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი გაუგებარს უწოდებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და ფიქრობს, რომ, დიდი ალბათობით, ამაში გარკვეული ხელი ურევია იმ პოლიტიკურ ზეწოლას, რომელიც პრეზიდენტზე ხორციელდებოდა.

უმრავლესობის წარმომადგენელი, **მიხეილ სარჯველაძე** ფიქრობს, რომ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს უმრავლესობის მხარდაჭერის მიღება გაუჭირდებათ. როგორც საპარლამეტო უმრავლესობის წევრმა აღნიშნა, ვითარება არის საკმაოდ ბუნდოვანი და სამწუხაროდ განცხადება, რომელიც ამის ასახსნელად პრეზიდენტმა გააკეთა, აბსოლუტურად არავითარი სინათლის შემტანი არ იქნება ამ ვითარებაში.

აბსოლუტურად არალოგიკური და არადამაჯერებელია არგუმენტად იმის მოყვანა, რაკი ორჯერ ვერ აირჩა კვალიფიციური უმრავლესობით, აქედან გამომდინარე, სხვა გადაწყვეტილება უფრო სწორი იქნებაო, მით უმეტეს, პრეზიდენტი არ საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ კალანდარიშვილზე უკეთესები არიან კანდიდატები, რომლებიც წარმოდგენილია. როგორც ჩანს, პრეზიდენტს უნდოდა ისეთი გადაწყვეტილება ეპოვა, რომლის გულისთვისაც ის თავიდან აირიდებდა ოპოზიციის შესაძლო კრიტიკას, თუმცა როგორც დაინახა, ოპოზიციის კრიტიკას მაინც ვერ დაუსხლტა. ამ შემთხვევაში, ალბათ, უნდა გაითვალისწინოს სამომავლოდ გადაწყვეტილებების მიღებისას და ფსონი უნდა გააკეთოს სწორ გადაწყვეტილებებზე და არა ისეთზე, რომელიც შეიძლება ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური მერკანტილიზმის ნიშნებს შეიცავდეს, რომ არ გააღიზიანოს ოპოზიცია. ეს არ არის სწორი მიდგომა...

სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილება გაუგებარია ოპოზიციისთვის. „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრის, **სერგო ჩიხლაძის** განცხადებით, თუ პრეზიდენტს სურს, აჩვენოს საზოგადოებას, რომ არაპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს, ეს კიდევ უფრო მძიმე შემთხვევაა, რადგან მისი თქმით, პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილება პოლიტიკურია.

> **„პრეზიდენტი არაპოლიტიკურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. მისი განმარტებითაც კი, რომ ვერ მოაგროვა ორჯერ სათანადო ხმები, ამასაც ხომ პოლიტიკური სარჩული აქვს, იმიტომ რომ მისაღები არ იყო. ამიტომ შევახსენებ პრეზიდენტს, რომ ამ გადაწყვეტილებასაც უკან პოლიტიკური სარჩული აქვს“,** – აცხადებს **სერგო ჩიხლაძე.**

„ლელოში“ კი თვლიან, რომ პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება იმისათვის მიიღო, რომ ახალი პროცესი დაიწყოს. პარტიის გენერალური მდივნის, **ბადრი ჯაფარიძის** განცხადებით, კანდიდატურების ირგვლივ არ იყო ფართო კონსენსუსი, რაც აუცილებელია ცესკოს თავმჯდომარის ხანგრძლივი ვადით არჩევისათვის. პრეზიდენტის გადაწყვეტილების რაციონალური ახსნა უჭირთ ექსპერტებს. **ზაალ ანჯაფარიძე** ფიქრობს, რომ პრეზიდენტის მოქმედების ლოგიკა იყო ასეთი ჰ მესამედ რომ წარედგინა კალანდარიშვილი, ეს საზოგადოებაში, ოპოზიციაში და მის მხარდამჭერებში აღიქმებოდა როგორც სალომე ზურაბიშვილისა და ხელისუფლებას შორის ერთგვარი გარიგება.

> **„კალანდარიშვილი სარგებლობს მმართველი გუნდის მხარდამჭერით, მოსწონთ მისი საქმიანობა. მისი კანდიდატურა რომ წარედგინა, ეს ოპოზიციას მისცემდა იმის თქმის საფუძველს, რომ პრეზიდენტი არაა პრინციპული, ისევ გარიგებაში შედის მმართველ გუნდათ, რაც ჩემი აზრით, არ უნდოდა სალომე ზურაბიშვილს. მისი საპრეზიდენტო ვადა ამოწურვისკენ მიდის და ნელ-ნელა დაიწყო დისტანცირება „ქართული ოცნებისგან“. შესაბამისად, მისი ეს გადაწყვეტილება უნდა წავიკითხოთ სწორედ ამ კონტექსტში“,** – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილების უკან რაციონალური ახსნას არ არსებობს, რადგან თამარ ალფაიძე როგორც მაჟორიტარი კანდიდატი, ოპოზიციის სახელით მონაწილეობდა მთაწმინდის მაჟორიტარულ არჩევნებში, რაც, მისი თქმით ადასტურებს, რომ ალფაიძის კანდიდატურა პოლიტიკური შემადგენლიდან დაცლილი არ არის.

> **„რევაზ ეგაძეზე ვერაფერს მოგახსენებთ, არ ვიცი მისი ბეგრაუნდი, მაგრამ ფაქტობრივად, შეიძლება ვთქვათ, რომ რადგანაც უკვე ვიცით ოპოზიციის და მმართველი გუნდის პოზიცია, ეს კონკურსი შეიძლება ჩავარდნილად გამოცხადდეს. მმართველი პარტია არ აპირებს კენჭისყრაში მონაწილეობას, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს კანდიდატურები ჩავარდება. ამიტომაც, ალბათ, მოხდება ხელმეორე კონკურსის ჩატარება და პრეზიდენტი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მას მოუწევს დეტალური ახსნა-განმარტების გაკეთება, რატომ არ დასახელა კალანდარიშვილი“,** – აღნიშნა **ზაალ ანჯაფარიძემ.**

ექსპერტი **ლადო ბოჟაძე** ამბობს, რომ გიორგი კალანდარიშვილმა ჩაატარა თვითმმართველობის არჩევნები, რომელმაც უმაღლესი შეფასება მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. შესაბამისად, მიზეზი – რა დააშავა კალანდარიშვილმა, არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი სამწუხაროდ, ჩაერთო იმ პროცესში, რასაც ჰქვია გამართულად არ იმუშაონ სახელმწიფო ინსტიტუციებმა, რაც ევროპული საბჭოს ერთ-ერთი მოთხოვნაა.

> **„თუ პრეზიდენტი ნაწყენი იყო ცესკოს თავმჯდომარეზე და არ მოეწონა მისი მუშაობა, მაშინ ის მეორე ვადით არ უნდა წარედგინა. პირველი 6 თვის ვადაში ჩაატარა თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც მოჰყვა ძალიან მაღალი შეფასება ჩვენი ქვეყნის გარეთ, გაცილებით მაღალ დონეზე ჩატარდა, ვიდრე ეს იყო 2020 წლის არჩევნები და ყველაზე მთავარი – ოპოზიცია შევიდა ყველა მუნიციპალიტეტში. მეორე ვადაზე კიდევ უფრო კარგად იმუშავა გიორგი კალანდარიშვილმა და საარჩევნო ადმინისტრაციამ.**

> **რაც შეეხება კანდიდატებს, მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ როგორც მახსოვს, ქალბატონი თამარი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა, როგორც კანდიდატი და ის თუ პოლიტიკაშია, როგორ შეიძლება დამოუკიდებელ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდეს? რაც შეეხება ბატონ რეზოს, მისი კვალიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სანამ ახალ თავმჯდომარეს არ აირჩევენ, მანამდე კალანდარიშვილი შეასრულებს მოვალეობას. ამ მხრივ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არაფერი იცვლება“,** – აცხადებს **ბოჟაძე.**

მისი თქმით, პირველი და მთავარი, რაც პრეზიდენტის მიერ გადადგმული ნაბიჯიდან ჩანს, საზოგადოებაში დარჩა განცდა, რომ ცესკოს არ ჰყავს თავმჯდომარე, სინამდვილეში მას ჰყავს მოვალეობის შემსრულებელი, მაგრამ ვიდრე ეს პროცესი არ დასრულდება, არასტაბილურობის განცდა მუდმივად ექნება იმ ინსტიტუციას, რომელიც არჩევნებს ატარებს.

> **„რაც ყველაზე მთავარია, გამოდის, რომ შარლ მიშელის შეთანხება რეალობაში არ მუშაობს და ისიც გადასახედია. პრეზიდენტმა ამით დაამტკიცა რომ „ქართული ოცნება“ მართალი იყო, როდესაც გენერალური პროკურორის არჩევის წესზე სხვა გადაწყვეტილება მიიღო და ყველაზე მთავარი – საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ყველაზე კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ, როდესაც გამოვედით შარლ მიშელის დოკუმენტიდან. რაც კიდევ უფრო მთავარია, ეს ხელს შეუწყობს პოლარიზაციას და არა დეპოლარიზაციას. პრეზიდენტი, რომელმაც გაცილებით ადრე დაიწყო ეს პროცესი და ლაპარაკობდა ერთიანობაზე, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელმაც კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს პოლარიზაცია“,** – აცხადებს **ლადო ბოჟაძე.**

თამთა ძარჩავა

სასწრაფო დახმარების გამოძახება ფასიანი ხდება?!

სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თანხის გადახდა მოუწევს. სადაზღვეო კომპანიებმა 112-დან წერილი უკვე მიიღეს, რომლის მიხედვითაც, კერძო დაზღვევის بენეფიციარებისთვის სასწრაფოს გამოძახება ფასიანი ხდება. თუკი ეს მოდელი ძალაში შევიდა, აძედანვე შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო სადაზღვევო პოლისების ღირებულება აუცილებლად გაიზრდება.

სადაზღვევო კომპანიების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე **დევი ხეჩინაშვილი** ხაზს უსვამს, რომ არავითარი დაკონკრეტება არ ყოფილა უწყების მხრიდან. შესაბამისად, არ იციან როდიდან იცვლება წესი და რა მექანიზმით.

„ეს არ არის მინისტრის ბრძანება ან მთავრობის განკარგულება. წერილი მივიღეთ 112-იდან. დღეს რომ დავრეკეთ, ვკითხეთ, ბენეფიციარი რომელიც დაზღვეულია, თუ გამოიძახებს სასწრაფოს, მას არ მოემსახურებით? თანხის გადახდა მოუწევს თუ რა ხდება? გვეუბნებიან — არაფერი. გვაინტერესებს მაშინ რა ხდება? ახლა რა მოცემულობაც გვაქვს მარტო ამის თქმა შეგვიძლია, მივიღეთ წერილი, რომლის უკანაც არ დგას არანაირი კონკრეტიკა.

ამ ეტაპზე სასწრაფო დახმარება ისევ უფასოა. ახლა დაიწყება საკითხის გარკვევა და როცა გავერკვევით, რა უნდა მთავრობას და 112-ს, მერე გაგრძელდება საუბარი. უნდა ვიცოდეთ, რა სურთ, თუ ისეთივე სეგრეგაციაა როგორიც საყოველთაო დაზღვევითაა, მაშინ უნდა ვიცოდეთ გზები. ამის მერე შეიძლება ყველა სადაზღვევომ სხვადასხვა გზა აირჩიოს. დღეს პრაქტიკა ასეთია, რომ უნივერსალური სერვისები ეზღუდებათ დაზღვეულებს. შეიძლება ესეც ასე მოხდეს, მაგრამ მე არ მაქვს ამ ეტაპზე ასეთი მოლოდინი, განსხვავებით ჩემი კოლეგებისაგან“, — განაცხადა ხეჩინაშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“.

მოგვიანებით, ჯანდაცვის სამინისტრომ სადაზღვევოებისთვის გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. სამინისტროში ამბობენ, რომ სასწრაფო დახმარების მომსახურებაზე ფასის დაწესება არ შეესაბამება სიმართლეს და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მომსახურება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და ჩამოსული სტუმრებისთვის არის და იქნება უფასო.

მინისტრის მოადგილის **ილია ღუდუშაურის** განმარტებით, ამ შემთხვევაში კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის გაკეთდა დამატებითი არასტანდარტული მომსახურების შეთავაზება და აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ეს განმარტება სულაც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი სადაზღვევო სექტორისათვის. „პსპ დაზღვევის“ გენერალური დირექტორი **სოფო ლებანიძე** აცხადებს, რომ მინისტრის მოადგილის კომენტარი ბუნდოვანია. მისი შეფასებით, წერილიდან უშუალოდ იკითხება, რომ დაზღვეულებისთვის სასწრაფო გადაუდებელი მომსახურება ფასიანი უნდა გახდეს და ილია ღუდუშაურის კომენტარი თითქოს ამ განზრახვის გაბათილებას ეხებოდა.

„სახელმწიფო უწყებიდან გამოგზავნილ წერილში დაფიქსირებულია სახელმწიფოს განზრახვა, რომ სადაზღვევო კომპანიებმა დაზღვეული მოქალაქეებისთვის ფასიანი მომსახურება მიიღონ. ყურადღებით ვუსმინე ღუდუშაურს და ის საუბრობს, რომ ტარიფები განსაზღვრული არ არისო და ამ დროს ტარიფები წერილით განსაზღვრულია, უბრალოდ ეს ტარიფები უფრო ზუსტად, როგორ ისაზღვრება, ეგაა გაუგებარი.

ასევე, ბატონი ღუდუშაური საუბრობს, რომ არასტანდარტული მომსახურების შემთხვევაში, ამ ტარიფებით ხელმძღვანელობა მოხდებაო. არასტანდარტული შემთხვევა რას ნიშნავს, ჩემთვის გაუგებარია. ასევე საკუთარი ინტერესი, რას ნიშნავს სასწრაფო გადაუდებელი მომსახურების დროს, ესეც გაუგებარია. სასწრაფო გადაუდებელი მომსახურება ნიშნავს მომსახურებას, რომელიც პაციენტს გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში სჭირდება და იქ რა საკუთარ ინტერესებზეა საუბარი, ჩემთვის ეს ბუნდოვანია. სახელმწიფო განზრახვა, რომ დაზღვეულებისთვის სასწრაფო გადაუდებელი მომსახურება ფასიანი გახდეს, ამ წერილიდან იკითხება. ბატონი ღუდუშაურის კომენტარი თითქოს ამ განზრახვის გაბათილებას ეხება და ესეც ასევე ბუნდოვანია“, — აღნიშნა სოფო ლებანიძემ.

თუკი დაზღვეულებისთვის სასწრაფო გადაუდებელი მომსახურება ფასიანი გახდება, აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო სადაზღვევო პოლისების ღირებულება აუცილებლად გაიზრდება.

რატომ არის ადგილობრივ ბაზარზე ქართული ჩაის წილი დაბალი?

ის, რომ ადგილობრივ ბაზარზე ქართული ჩაის წილი დაბალია, ამაში მთავარი „დამნაშავე“ იმპორტირებული ჩაიზე არსებული დემპინგური ფასებია — მიიჩნევს საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი თენგიზ სვანაძე. მისი თქმით, ძირითადად დემპინგური ფასებით ჩაი შემოდის აზერბაიჯანიდან.

„აზერბაიჯანი თავის პროდუქციას პრაქტიკულად არ აწარმოებს. მას მესამე ქვეყნიდან შემოაქვს ჩაი, აფასოებს და შემდეგ ყიდის ჩვენთან, რუსეთში და სხვა. აზერბაიჯანი თავად 500-დან 1000 ტონამდე ჩაის აწარმოებს, ხოლო 17-18 ათასი ტონა მისი შიდა მოხმარებაა. პლუს ამას აწარმოებს ექსპორტს, — განმარტავს „კომერსანტთან“ თენგიზ სვანაძე. მისი თქმით, დღეს ქართულ ჩაის ადგილობრივი ბაზრის 25% უკავია, ხოლო 75% იმპორტია.

„ქვეყანაში მუშაობს ჩაის პლანტაციების სახელმწიფო პროგრამა აქედან გამომდინარე უფრო მეტი პლანტაცია შედის ექსპლუატაციაში. ამ პროგრამის ქვეშ უკვე განხორციელდა 1000 ჰა-მდე ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია. შესაბამისად ბოლო პერიოდში უფრო მეტი პლანტაცია შევიდა ექსპლუატაციაში და უფრო მეტი ფოთოლი იკრიფება. ნედლეულის დეფიციტი არის. არსებობენ საწარმოები, რომლებიც ძალიან ხარისხიან პროდუქციას ამუშავებენ. სხვაგვარად აზრი არ აქვს წარმოებას, რადგანაც უხარისხო ჩაი დღეს აღარ იყიდება.

ჩაის რეალიზაციას რაც შეეხება, ქართული ჩაის დიდი ნაწილი იყიდება ადგილობრივ ბაზარზე და არსებული პრაქტიკით მისი წილი მზარდია.

2000-იანი წლების დასაწყისში ქართულ ჩაის ადგილობრივი ბაზრის 5-6% ეკავა, ხოლო დღეს მისი წილი 25%-მდეა. ესეც კი ძალიან დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ტენდენცია მზარდია და ვიმედოვნებთ, რომ შიდა ბაზარზე მისი წილი კიდევ უფრო გაიზრდება.

ადგილობრივ ბაზარზე საქართველოში წარმოებული ჩაის წილის ზრდა უკავშირდება, როგორც ხარისხის გაუმჯობესებას ასევე რაოდენობრივ ზრდასაც, — ამბობს საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი.

რაც შეეხება პროდუქციის ფასს, ბოლო პერიოდში ქართული ჩაის ფასმა 10-15%-ით მოიმატა. როგორც საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, ჩაის ზოგადად მაღალი თვითღირებულება აქვს, თუმცა მზარდი ინფლაციის ფონზე ჩაის ფასი საკმაოდაა გაძვირებული.

„ზოგადად ჩაის თვითღირებულება მაღალია. თუ გინდა ხარისხიანი პროდუქცია აწარმოო, ხარისხიანი პროდუქცია უნდა მოკრიფო. ხარისხიანი პროდუქციის დაკრეფა კი მარტივი არის. თუ ადრე მისი ფასი 10-20 თეთრი იყო, ხარისხიანი ჩაის ფოთლის ღირებულება დღეს 2 ლარია, არის შემთხვევები როდესაც 5 ლარსაც იხდიან.

ერთი კგ ჩაის წარმოებას კი სჭირდება 4 კგ ნედლი ჩაის ფოთოლი. მარტო ნედლეულში, რომ ჩაის ფოთოლი ჯდება 8 ლარი, პლუს ამას გადამუშავება და დაფასოების ხარჯები. ჩაი ზოგადად ძვირი იყო, მაგრამ ინფლაციის პირობებში მისი ფასი კიდევ უფრო გაიზარდა და ვერ უწევს კონკურენციას უცხოეთიდან შემოტანილ ნაკლებად ხარისხიან პროდუქციას“, — ამბობს თენგიზ სვანიძე.

ნავთობის ფასი ომამდელ ნიშნულს ჩამოსცდა...

საერთაშორისო ბირჟებზე ნავთობმა მკვეთრი გაიაფება დაიწყო. ერთი ბარელი „ბრენტის“ ტიპის ნავთობის ღირებულება — 93-დოლარიან ნიშნულამდე დაეცა; ამერიკული „ლაითის“ ტიპის ნავთობის ღირებულება კი 88 დოლარამდე დაეშვა.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის ფასი უკვე ოფიციალურად ჩამოსცდა ომამდელ ნიშნულს. პოზიტიური პროგნოზი კეთდება საქართველოშიც. იმპორტიორები ადასტურებენ, რომ ბენზინისა და დიზელის გაიაფება საცალო ქსელშიც დაიწყება.

ყველა საწვავის გაიაფებას ადასტურებს

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე 1 ბარელი „ბრენტის“ ფასი 94 დოლარი იყო, ხოლო ამერიკული მსუბუქი ნავთობის ღირებულება 92 დოლარს შეადგენდა.

ნავთობის ფასების შემცირების ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი მსოფლიოს მასშტაბით რეცესიის განვითარების რისკების ზრდაა. აღნიშნულ მოსაზრებას კი განსაკუთრებით აძლიერებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აშშ-ის ეკონომიკა შემცირდა, ხოლო პოზიტიური პროგნოზი ანალიტიკოსებს არც მეორე ნახევართან დაკავშირებით აქვთ.

როგორც იქნა, საწვავის მიმართულებით, საქართველოშიც პოზიტიური გზავნილები კეთდება. იმპორტიორები გაიაფებაზე ალაპარაკდნენ. ყველაფერთან ერთად ვითარების საგრძნობ გაუმჯობესებას ლარის კურსის მკვეთრმა გამყარებაც უწობს ხელს, რომელიც 2,70-იან ნიშნულს მიუახლოვდა.

ქართველოს საბითუმო ბაზარზე ფასის კორექტირება უკვე გამოიწვია. კომპანია „სენტა პერტოლეუმის“ დამფუძნებლის **ზაალ იაკობიძის** ინფორმაციით, საწვავზე ღირებულებამ 20-25 თეთრით იკლო და თუ ზემოთ აღნიშნული დადებითი ტენდენცია შენარჩუნდება, ფასის კლება კიდევ მოხდება.

დადებითი ტენდენციის შეანარჩუნება კი ნამდვილად მოსალოდნელია, როგორც ლარის კურსის, ისე ნავთობზე ფასის კლების, ანდა იმ ნიშნულზე დარჩენისა და სტაბილიზაციის კუთხით, როგორც ბოლო დროს არის მსოფლიოში.

უფრო მეტიც, დაღმასვლის ტენდენცია დასტურდება სამომავლო, ანუ ფიუჩერსულ კონტრაქტებთან მიმართებითაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომავალში ინვესტორები ნავთობის ფასების კიდევ უფრო მეტ ვარდნას პროგნოზირებენ.

„ბიეიმის“ ინფორმაციით, სანავთობო ფიუჩერსების ფასები თვეების მიხედვით ასე გამოყურება:

2022 წლის ოქტომბერი	— 87 დოლარი
2022 წლის ნოემბერი	— 86 დოლარი
2022 წლის დეკემბერი	— 85 დოლარი
2023 წლის იანვარი	— 85 დოლარი
2023 წლის თებერვალი	— 84 დოლარი
2023 წლის მარტი	— 83 დოლარი

ბექა დანელია

მართალია თუ არა, რომ ბავშვებში ჰეპატიტის მასობრივი გავრცელების მიზეზი „ლოქდაუნია“?

როგორც ჩანს, ბრიტანელმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალ მცირეწლოვან ბავშვს ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები მოულოდნელად უვითარდებათ. კონკრეტულად რაზეა საუბარი, BBC-მ გაარკვია.

რა ხდება?

COVID-19-ის მთელი პანდემიის განმავლობაში, ჰეპატიტის ორი ყველაზე მეტად ცნობილი ვირუსი, პრაქტიკულად, აღარავის ახსოვდა. როგორც ბრიტანელ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, უმეტეს ქვეყანაში მკაცრი შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ის „დაბრუნდა“ და ბავშვთა დაწესებულებებში აქტიურად დაიწყო გავრცელება. ამის მიზეზი კი „ლოქდაუნის“ შედეგად დასუსტებული იმუნიტეტია. საბოლოო ჯამში, 35 ქვეყნიდან 1000-ზე მეტი ბავშვი ჰეპატიტით უკვე დაავადდა. პატარა პაციენტების უმრავლესობა 5-წლამდე ასაკისაა.

ზოგიერთ მათგანში ინფექცია იმდენად მძიმედ განვითარდა, რომ ბავშვის გადარჩენის ერთადერთი გზა დაზიანებული ორგანოს გადანერგვა იყო. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში ღვიძლის გადანერგვის 12 ასეთი შემთხვევა უკვე დადასტურდა. ლონდონსა და გლაზგოში მომუშავე მკვლევართა ორი ჯგუფის დასკვნის მიხედვით, კორონავირუსული შეზღუდვების გამო, ბავშვების უმეტესობას ორი წლის განმავლობაში ნაკლებად ან საერთოდ არ ჰქონდათ თანატოლებთან კონტაქტი. სწორედ ამიტომ, ისინი მოგვიანებით შეეჯახნენ ორ ინფექციას, რომელთა მიმართაც იმუნიტეტი, როგორც წესი, ჩვილობის ასაკში ვითარდება. ერთი მხრივ, ეს არის ადენოვირუსი, რომელიც გაციებასა და საჭმლის მონელების დარღვევას იწვევს, მეორე მხრივ კი — ადენოასოცირებული ვირუსული სეროტიპი 2 (AAV2). ეს უკანასკნელი, როგორც წესი, თავისთავად დაავადებას არ იწვევს, რადგან მისი გამრავლება უჯრედებში ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი „დამხმარე“ ადენოვირუსით არის ინფიცირებული. მეცნიერთა აზრით, ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ უვითარდება ზოგიერთ ბავშვს ღვიძლის იშვიათი გართულებები.

ერთ-ერთი ბავშვი, რომელსაც ჰეპატიტი სრულიად მოულოდნელად განუვითარდა და ამან დაზიანებული ორგანოს გადანერგვის საჭიროება გამოიწვია, არის სამი წლის ნოა. მისი ოჯახი ესექსის საგრაფოში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში ცხოვრობს. დედის, რებეკა კემერონ-მაკინტოშის თქმით, ის ბავშვის ავადმყოფობამ სრულად გაანადგურა. **„მანამდე მას ცუდი არაფერი შემთხვევია, იხსენებს მშობელი — ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა და ინფექცია ისე სწრაფად განვითარდა, რომ გონს მოსვლაც კი ვერ მოვასწარით. თავიდან გვეგონა, რომ ეს იყო რაღაც პატარა პრობლემა, რომლის გამოსწორებაც ადვილი იქნებოდა, მაგრამ პრობლემა სულ უფრო იზრდებოდა და ზვავდებოდა“.**

თავდაპირველად, რებეკა გეგმავდა ბავშვისთვის საკუთარი ღვიძლის ნაწილი გაეზიარებინა, მაგრამ მის ორგანიზმს იმდენად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა დონორისთვის დანიშნულ პრეპარატებზე, რომ რეანიმაციაში თავად აღმოჩნდა. ამის შემდეგ ნოა ტრანსპლანტაციის მომლოდინეთა სიაში შეიყვანეს. საბედნიეროდ, მას ლოდინი დიდხანს არ მოუწია: ბავშვს ახალი ღვიძლი მალევე გადაუნერგეს. ბიჭის გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის, მაგრამ გადატანილი ოპერაციის გამო, მას იმუნოდეპრესანტების მიღება მთელი ცხოვრება მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ორგანიზმი უცხო ორგანოს უარყოფას დაიწყებს. „არის ამაში გარკვეული სულისგამგლეჯი ირონია“ — ამბობს რებეკა. **„გგონია, რომ ყველაფერს სწორად აკეთებ: იცავ შეზღუდვებს, რათა სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანები დაიცვა. საბოლოოდ კი, რაღაც ირიბი გზებით, მთელი ცხოვრების მანძილზე დასუსტებული იმუნიტეტით რჩება შენი საკუთარი შვილი. ამის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ ხელისუფლების მითითებებს ასრულებდი“,** — დასძენს დედა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. ამ ტიპის ვირუსებით დაავადებული ბავშვების უმეტესობა (დაგვიანებული მკურნალობის შემთხვევაშიც კი) სწრაფად გამოჯანმრთელდება. არც ისე ნათელია, თუ რატომ იწვევს ზოგიერთ ადამიანში ადენოვირუსული ინფექცია ღვიძლის ანთებას. როგორც ჩანს, აქ შეიძლება მთავარი როლი გენეტიკამ შეასრულოს. ამავდროულად, მეცნიერები ჰეპატიტის განვითარებასა და თავად COVID-19-ს ან მის საწინააღმდეგო ვაქცინებს შორის რაიმე სახის კავშირს სრულად გამორიცხავენ.

„კარანტინის განმავლობაში, სანამ ბავშვები სახლებში ისხდნენ და ერთმანეთს მხოლოდ ვირტუალურად ეკონტაქტებოდნენ, მათ შორის ვირუსების გადაცემა უბრალოდ შეუძლებელი იყო“, — განმარტავს კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ვირუსოლოგიის პროფესორი, ჯუდით ბრეიერი. **„ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ მოხდა იმუნიტეტის ჩამოყალიბება მრავალი გავრცელებული ინფექციის მიმართ, რომლებსაც, როგორც წესი, ადრეულ ბავშვობაში ვხვდებით“,** — დასძენს ის.

„როდესაც შეზღუდვები მოიხსნა, ბავშვებმა კვლავ დაიწყეს ერთმანეთში დიდი დოზით პირადი კომუნიკაცია, ვირუსებიც ერთი ბავშვიდან მეორეზე თავისუფლად ვრცელდებოდა. შესაბამისად, იმუნიტეტის ნაკლებობამ ახალი ინფექციების მთელი ტალღა გამოიწვია“, — ასკვნის ექსპერტი. ექიმები იმედოვნებენ, რომ ასეთი შემთხვევების რიცხვი თანდათან შემცირდება. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ გვიან ჩამოყალიბებული იმუნიტეტი მომავალში მაინც იჩენს თავს.

როგორც გლაზგოს უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი, ემა ტომსონი ამბობს, ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. **„აუცილებელია მეტი მასშტაბური კლევა, რათა ბავშვებში ჰეპატიტის განვითარების მიმართულებით AAV2-ის როლი შევისწავლოთ“,** — ამბობს სპეციალისტი. **„ამასთანავე, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი გავიგოთ AAV2-ის სეზონური მიმოქცევის შესახებ. ახლა ამ ვირუსს მუდმივ რეჟიმში არავინ აკონტროლებს. შესაძლოა, ადენოვირუსული ინფექციის სეზონური პიკი AAV2-ის გავრცელების პიკს დაემთხვა, რამაც მცირეწლოვან ბავშვებში ჰეპატიტის უჩვეულო გამოვლინებები გამოიწვია“,** — ასკვნის ექსპერტი.

რუხის საავადმყოფოში ახალი განყოფილება გაიხსნა

თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი და კვალიფიციური მედპერსონალით დაკომპლექტებული დეპარტამენტი ადგილობრივებსა და ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ მოქალაქეებს სრულფასოვან სამედიცინო მომსახურებას გაუწევს.

— პაციენტებს საშუალება ექნებათ, მიიღონ თერაპევტის, კარდიოლოგის, ჰემატოლოგის, გინეკოლოგის, ნეფროლოგის, პულმონოლოგის, ტრავმატოლოგის, რევმატოლოგის, გასტროენტეროლოგის, ოტოლარინგოლოგის, ონკოქირურგის და სხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტების კონსულტაცია. ასევე — ჩაიტარონ დიაგნოსტიკური და ინსტრუმენტული კვლევები. აქვე შესაძლებელია სხვადასხვა ანალიზის გაკეთება უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ავტომატიზებულ ლაბორატორიაში.

რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო პანდემიის დასაწყისში გაიხსნა. კლინიკამ, ზემო სვანეთიდან, სამეგრელოდან და ოკუპირებული აფხაზეთიდან 7 000-ზე მეტ კოვიდპაციენტს უმკურნალა. ასევე აქტიურად იყო ჩართული ვაქცინაციის პროგრამაში. კლინიკაში არის დიალიზისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის დეპარტამენტიც, რომელიც უახლესი სტანდარტების აპარატურითაა აღჭურვილი და ჰემოდიალიზზე დამოკიდებული ადგილობრივ პაციენტებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურებას აწვდის. — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



დამატებით 14 მილიონი ლარი რუსთავის გასამშვენიერებლად!

რუსთავში, დამატებით 14 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება. რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის განცხადებით, პრიორიტეტად, კვლავ რჩება ქალაქში უსაფრთხო გარემოს შექმნა და ამ თანხის ძირითადი ნაწილი მიმართული იქნება სწორედ შიდა საუბნო სივრცეებისა და გზების რეაბილიტაციაზე.

— დღეს რუსთავში სხვადასხვა მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, მათი ჯამური ღირებულება 80 მილიონი ლარია. ჩვენ დამატებით კიდევ 14 მილიონი ლარის ღირებულების ახალ პროექტებს ვიწყებთ, რომელთა ძირითადი ნაწილი მიმართული იქნება შიდა საუბნო სივრცეების რეაბილიტაციაზე და მოწესრიგებაზე. ჩვენთვის პრიორიტეტად კვლავ რჩება ქალაქში უსაფრთხო გარემოს შექმნა და ვფიქრობთ, რომ ახალი ეტაპი ამის შესაძლებლობებს მოგვცემს, - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ. აღნიშნული 14 მილიონი ლარით, ძველი რუსთავის რეაბილიტაციის ფარგლებში, რუსთაველის ქუჩის რესტავრაციის მეორე ეტაპი დაიწყება, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება შიდა საუბნო სივრცეების მოწყობაზე ქაშაკაშვილის, კონსტიტუციისა და მშენებელთა ქუჩებზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვის და შევჩენკოს ქუჩებს, ახალი გზის მშენებლობა მოხდება დოლიძის ქუჩის ახალ დასახლებაში, ჭყონდიდელის დასახლებაში 15 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე ახალი სკვერი გაშენდება.

ახალი სივრცე ლაგოდეხში

კომპანიამ „სამი ტბა“ ტურისტული კარვებითა და ხის კოტეჯებით სივრცის მოსაწყობად, 210,000 ლარზე მეტი თანხით ინვესტირება მოახდინა, მათ შორის სოფლის განვითარების პროგრამის თანადაფინანსება 168,000 ლარია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ტურისტული სივრცე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის განვითარების, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის პროგრამების მენეჯერმა ქეთევან ხუციშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში მენეჯერმა ნოდარ კერესელიძემ, ლაგოდეხის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა და სოფლის განვითარების სააგენტოს საგრანტო — საინვესტიციო სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა დავით დეკანოიძემ დაათვალიერეს.

„სოფლის განვითარების პროგრამით“ დაფინანსებულია 76 პროექტი, 10,9 მლნ ლარის საინვესტიციო ღირებულებით, მათ შორის თანადაფინანსება 7.6 მილიონ ლარს აღემატება. „სოფლის განვითარების პროგრამა“ ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

ხაშური-ახალციხე-ვალეს გზის კეთილმოწყობა გრძელდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზაზე, ჯამში 7 კმ-ზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს.

სარეაბილიტაციო გზა ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. პირველი მონაკვეთი სოფელ ახალდაბის ტერიტორიიდან იწყება და სოფელ კორტანეთთან სრულდება, ხოლო მეორე მონაკვეთი რველის მახლობლად იწყება და გრძელდება ბორჯომში, დავით აღმაშენებლის ქუჩის №40-ამდე.

რეაბილიტაციის პროექტი, გზის სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობას, 1 ხიდის რეაბილიტაციას, ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახლების მოწყობას, დახურული სანიაღვრე ქსელის მოწყობას, არსებული ბეტონის საყრდენი კედლების შეკეთებასა და გაბიონის ქვედა საყრდენი კედლის მოწყობას ითვალისწინებს. ასევე, განხორციელდება ადგილობრივ გზებთან მიერთებებისა და ადგილობრივი შესასვლელების, მოსახლეობის ეზოში შესასვლელების, ბორდიურების და ტროტუარების, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნებისა და მგზავრების მოსაცდელების, საგზაო ნიშნების მოწყობა და გზის სავალი ნაწილის მონიშვნა.

ვემზადოთ თუ არა რუსეთის თავდასხმისთვის? – რა გვითხრა „რუსმა ხუნდაძემ“ მედვედევმა

რუსეთის ექსპრემიერისა და ექსპრეზიდენტის, ამჟამად უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის დიმიტრი მედვედევის სკანდალურმა ინტერნეტ-პუბლიკაციამ, რომელშიც საქართველოსა და ყაზახეთის სახელმწიფოებრიობა, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვქვეშაა დაყენებული, კვლავ გააქტიურა საუბრები პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის შესაძლო ახალ ომებზე.

კრემლის კარის ბოროტი ჯამბაზობა

მოსკოვის იმ ოფიციალური ვერსიის, რომ ჰაკერებმა რუსეთის ФСБ-ს მიერ სრულად კონტროლირებად შიდა რუსულ სოცქსელ „В контакте“-ში უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ექაუნთი „გაუტეხეს“ და ეს პუბლიკაცია „ჩაუდეს“, მიამიტების გარდა, არავის სჯერა. რაღა თქმა უნდა, „პოსტი“ რომელიც გამოქვეყნებიდან დაახლოებით 10 წუთში წაიშალა, თავად მედვედევის იყო და არა ჰაკერებისა თუ უცხოპლანეტელების. ხოლო იმაზე, ფხიზელმა დაწერა მან ეს ბოდვა თუ არა, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ანალიტიკოსთა ნაწილი ენდობა იმ არაოფიციალურ ინფორმაციას, რომ პუტინის მიერ ფაქტობრივად უფუნქციოდ დატოვებული, ყოველმხრივ დამცირებული მედვედევი სასმელს მიეძალა. სწორედ ამით ხსნიან ისინი მისი საგრძნობლად გახშირებული ინტერნეტ-პუბლიკაციების პოლიტიკოსისთვის სრულიად შეუფერებელ შინაარსსა და ტონს. ანალიტიკოსთა ამ ნაწილის აზრით, მსგავსი აქტივობით ექსპრემიერი და ექსპრეზიდენტი მედვედევი პუტინის გულის მოლბობასა და “თამაშში დაბრუნებას“ ცდილობს.

ხოლო მეორე ნაწილის შეფასებით, თავად პუტინმა დააკისრა მედვედევს ამას წინათ გარდაცვლილი ვლადიმირ ჟირინოვსკის ფუნქცია – **„კრემლის კარის ბოროტი ჯამბაზობა“:** სწორედ მან უნდა აფრქვიოს რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის ბნელი აზრები და ზრახვები იმ მიუღებელი ფორმით, რომლითაც თავად პუტინი და სხვა პირველი პირები ამას ვერ დააფიქსირებენ **(საქართველოსთან რომ გავავლოთ პარალელი, ეს ალბათ, სწორედ ის ფუნქციაა, რომელიც ხელისუფლებამ „ქართული ოცნებიდან“ ვითომდა გამოყოფილ ხუნდაძეს, ყაველაშვილს, სუბარსა და სხვებს დააკისრა).** შესაბამისად, დამკვირვებლების ამ ნაწილის აზრით, საქართველოსა და ყაზახეთის სახელმწიფოებრიობის ეჭვქვეშ დაყენება არა მედვედევის პირად მოსაზრებად, არამედ დიახაც – პუტინისა და მისი გარემოცვის პოზიციად უნდა აღვიქვათ. მით უფრო, რომ 24 თებერვლის აგრესიამდე პირადად პუტინისგან ორგზის გვაქვს მოსმენილი ანალოგიური ბოდვა უკრაინის სახელმწიფოებრიობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოახდინა მედვედევმა თავის პუბლიკაციაში აქცენტირება მაინცდამაინც ყაზახეთსა და საქართველოზე, როგორც დამოუკიდებელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის – „შედარებითი ურჩობა“ და „შედარებითი სისუსტე სამხედრო თვალსაზრისით“. „ერთი მხრივ, რუსეთის არმია უკრაინაში „ჩაეფლო“ და იმდენად დასუსტდა როგორც ცოცხალი ძალის, ისე აღჭურვილობისა და შეიარაღების კუთხით, რომ რეალურად, პარალელურ რეჟიმში კიდევ სადმე კონვექციური ბრძოლის წარმოების არავითარი რესურსი არა აქვს.

> **უკვე ცხადია, რომ პუტინი უკრაინაში ომს ვერ იგებს. ის კი არა და მთელი რიგი სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, თუნდაც დონბასის რეგიონის სრულად ასაღებად რუსულ ჯარს კიდევ მინიმუმ, ერთი წელი დასჭირდება – თუ, რა თქმა უნდა, ამდენ ხანს საერთოდ „გაქაჩავს“. მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ამ მძიმე მდგომარეობამ შეიძლება, უბიძგოს კრემლს მეორე ფრონტის გახსნისაკენ – იქნება ეს საქართველო, ყაზახეთი თუ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელშიც, მოსკოვის აზრით, მის ჯარს არ გაუჭირდება პატარა სწრაფი გამარჯვების მიღწევა, რათა მისით უკრაინაში განცდილი სირცხვილი გადაფაროს და რუსეთის მოსახლეობას ეს მაინც მიასაღოს „გამარჯვებად“** – ამბობს პოლიტოლოგი აბას გალიამოვი.

მისივე შეფასებით, სასაცილოა, როცა ამ ფონზე საქართველოში ისმის საუბრები „უკრაინისა და დასავლეთის ინტერესზე, თბილისი ომში ჩაითრიონ“. „თუ ვინმეს აქვს ამის ინტერესი, ეს სწორედ რუსეთია, რომელიც უკრაინაში დონბასის ფარგლებამდე შემცირებულ მიზნებსაც კი ვერ აღწევს და ჰაერივით სჭირდება რაიმე „პატარა გამარჯვება“. თორემ დასავლეთისთვის საქართველოში ახალი შეიარაღებული კონფლიქტი მხოლოდ დამატებითი თავის ტკივილი იქნებოდა – სხვა არაფერი: უკრაინასთან ერთად ახლა საქართველოს დახმარება მოუწევდა – ყველა შესაბამისი ხარჯითა და სხვა პრობლემით“ – განმარტავს გალიამოვი.

რაც შეეხება მეორე მიზეზს იმისა, თუ რატომ მაინცდამაინც საქართველო და ყაზახეთი, დამკვირვებლების აზრით, საქმე პრეზიდენტ ტოკაევის “ურჩობაშია“ და იმ მიზანში, რომლითაც ყაზახეთის ხელისუფლებას ბოლო თვეების განმავლობაში უკვე ორჯერ შეხვდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადენლები.

> **„მოგეხსენებათ, ყაზახეთი წლების განმავლობაში რუსეთის მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო, მათ შორის – „კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის“ (ОДКБ) ფარგლებში. მაგრამ უკრაინის საკითხში რუსეთმა მისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო. ახლა კი რუსეთის პროპაგანდისტები, მათ შორის სამხედრო დამნაშავე გირკინი (იგივე სტრელკოვი) “რუსეთის წინააღმდეგ ყაზახეთის არმიის ფორსირებულ გაძლიერებაზე“ ამახვილებენ ყურადღებას და კრემლს „ლანძღავენ“, „ტოკაევის სოროსელობა უყურადღებოდ როგორ დატოვაო“,** – ამბობს უკრაინელი ანალიტიკოსი, დეპუტატი ალექსეი გონჩარენკო.

რაც შეეხება მედვედევის მიერ ყაზახეთთან ერთად საქართველოს მოხსენიებას, საქმე აქ, მისი აზრით, ქვეყნის მთავრობის მიერ ყაზახ კოლეგებთან ტრანსკასპიური ლოჯისტიკური მარშრუტის – იგივე კასპიის სატრანსპორტო დერეფნის საკითხის განხილვაშია: **„მოგეხსენებათ, ეს არის დერეფანი, რომელიც უზრუნველყოფს ჩინეთიდან ტვირთების ევროპაში გატარებას რუსეთის გვერდის ავლით. ტოკაევი საქართველოს წარმომადგენლებს ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე ორჯერ შეხვდა. ამ გლობალური საკითხის ფასი არის ერთი მხრივ, გეოპოლიტიკა, მეორე მხრივ – ათობით მილიონი დოლარი. ამდენად, ბუნებრივია, მოსკოვი სერიოზულად ღელავს. და აი, დაიდო კიდეც მედვედევის პოსტი ერთობლივად ყაზახეთსა და საქართველოზე“.**

გონჩარენკოს აზრით, მედვედევის პუბლიკაცია არა იმიტომ წაიშალა, რომ კრემლში ვიღაცას სხვა აზრი და გეგმები აქვს, არამედ იმიტომ, რომ „პოსტი“ დროზე ადრე გამოქვეყნდა: “ეს მედვედევის ერთგვარი ფალსტარტი იყო. ბოლო დროს იგი გამალებით ცდილობს იმ სავარძელში დაბრუნებას, რომელიც ერთხელ უკვე ეკავა, ამისთვის ლამის ყოველდღიურად ამტკიცებს „პოსტებით“, რომ სხვებზე მეტი „პატრიოტია“ და იმპერიალისტი. მაგრამ ამჯერად აშკარად ზედმეტი მოუვიდა: გაახმოვანა ის, რაც მოგვიანებით, საჭირო დროს თავად იმპერატორ პუტინს უნდა გაეხმოვანებინა – ისე, როგორც ეს უკრაინასთან მიმართებაში გააკეთა აგრესიის დაწყებამდე. ამიტომაც პოსტი წაშალეს. თუმცა ეს არა იმას ნიშნავს, რომ კრემლში სხვა აზრი და გეგმები აქვთ, არამედ პირიქით – სწორედ იმას, რომ ზუსტად ისე ფიქრობენ, როგორც მედვედევს ეწერა. დიახ, კრემლში განიხილავენ ყაზახეთთან ომსაც, საქართველოსთანაც... და დიახ, ომი სწორედ კრემლს უნდა, ისევე, როგორც უნდოდა უკრაინაში, სწორედ მას აქვს იმპერიალისტური გეგმები, რომელსაც პუტინი აღარც მალავს. ეს უნდა გვესმოდეს ყველას!“

ამასთან დაკავშირებით გონჩარენკო ქართველ და ყაზახ ხალხებს მიმართავს:

> **„არც პირადად მე, არც ჩვენი ხელისუფლების რომელიმე სხვა წარმომადგენელს, ან თუნდაც რიგით უკრაინელს აქვს სურვილი, თქვენთანაც იხილოს ომი, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით. ომს ჩვენგან არავინ გისურვებთ – ეს აბსოლუტურად გამორიცხეთ! მაგრამ პუტინს, რომლის ჯარი უკრაინაში სამარცხვინოდ „გაიჭედა“, წყალივით სჭირდება პატარა გამარჯვებები, ამიტომაც მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ კრემლის მიერ გაჩაღებული ომი თქვენც შეიძლება, შეგეხოთ. არსებულ ვითარებაში ყველას მოუწევს არჩევანის გაკეთება, დაიცვას სახელმწიფოებრიობა, თუ ჩაბარდეს და “იმეგობროს“ რუსეთთან ამა თუ იმ ფორმით ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსით. ყველა თავისუფალია თავის არჩევანში. ლუკაშენკომ პირველი აირჩია, უკრაინამ – მეორე და მედგრად აგრძელებს საკუთარი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის დაცვას. პუტინს ჰგონია, რომ ადვილად მიაღწევს გამარჯვებას საქართველოში, სადაც თბილისიდან 40 კმ-ში ტანკები ერთხელ უკვე ედგა, ასევე ყაზახეთში, სადაც სულ ტყუილად ეგულება რუსეთის მიმართ ლოიალური მოსახლეობა. ასე რომ, იყავით ფხიზლად, იყავით მაქსიმალურად ყურადღებით და მაქსიმალურად ეფექტურად მოემზადეთ“.**

„აქცენტი“

უკრაინელი სამხედრო ტყვეებისთვის სამხედრო ტრიბუნალს ამზადებენ

– როგორც „ბიბისი“ წერს, აღნიშნულის შესახებ რუსული ტელეარხის ეთერში საუბრისას თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა დენის პუშილინმა განაცხადა.

„შემიძლია, დავადასტურო, რომ ტრიბუნალისთვის მზადება მიმდინარეობს ზუსტად ისე, როგორც ჩვენ განვაცხადეთ. ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვგეგმავთ. ანუ, ტრიბუნალი გარდაუვალია და ერთ-ერთი პირველი ტრიბუნალი იქნება მარიუპოლში“,

– განაცხადა პუშილინმა. მან აღნიშნა, რომ მზადდება შენობაც, სადაც ტრიბუნალი უნდა გაიმართოს. მანამდე მარიუპოლის საქალაქო საბჭოში განაცხადეს, რომ ადგილობრივი ფილარმონიის სცენაზე ციხის საკნები განათავსეს.

ზაპოროჟიეს რუსეთთან „შეერთება სურს“

გავრცელებული ცნობით, ზაპოროჟიეს საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ევგენი ბალიცკიმ დოკუმენტს ხელი მელიტოპოლში მიმდინარე ფორუმზე – „ჩვენ რუსეთთან ერთად“ მოაწერა.

საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ზაპოროჟიე უკრაინას არასოდეს დაუბრუნდება. **„ზაპოროჟიეს მიწა სამუდამოდ ტოვებს უკრაინას. ზაპოროჟიეს ოლქმა დაადგინა რუსეთთან გაერთიანების კურსი და უკან დაბრუნება არ იქნება“,** – თქვა ვლადიმირ როგოვმა, საოკუპაციო ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მესვეურმა.

ამ რეფერენდუმისთვის მზადება დიდი ხანია, მიმდინარეობს რუსეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ ოლქში, რომელიც არ მოიცავს რეგიონალურ ცენტრს – ქალაქ ზაპოროჟიეს. ოკუპანტები აკონტროლებენ ზაპოროჟიეს ოლქის ტერიტორიის დაახლოებით 60 პროცენტს. 23 ივლისს რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიწყეს საარჩევნო კომისიის შექმნა ამ უკანონო რეფერენდუმის ჩასატარებლად. ამისთვის საოკუპაციო ხელისუფლება აპირებს დახმარების თხოვნით რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართოს. თავად რეფერენდუმი შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს.

ქართველები და ოსები მტრები არ არიან

სკოლის მერხიდან დაწყებული მეგობრობის ამბავი

ქართველები და ოსები მტრები არ არიან და ამას ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობაც ადასტურებს – გვეუბნება შმაგი სამხარაძე და საკუთარ ისტორიასაც გვანდობს.

მათი მეგობრობა ტვერში, სკოლის მერხიდან, მერვე კლასიდან დაიწყო. სწორედ იქ შეხვდნენ ერთმანეთს ქართველი შმაგი სამხარაძე და წარმოშობით ცხინვალელი არსენ მამიტოვი. ამბობს, რომ წარმოშობა მათ ურთიერთობებში პრობლემად არასოდეს ქცეულა, თუმცა საუბრობენ მტკივნეულ თემებზეც.

„ერთხელ ავტობანზე მივდოდით და მითხრა, აქედან ათიოდ კილომეტრშია ჩემი შვილი – ბებიას და ბაბუას სტუმრობს ცხინვალში, მაგრამ მე არ მაქვს შესაძლებლობა, ჩავიდე და ვნახოო. ან რუსეთში უნდა ჩავიდე, საქართველოს კანონი დავარღვიო და გადავიდე ცხინვალში, ან რუსეთში უნდა შევხვდეთ ერთმანეთსო. ფიქრობს, რომ არაა ნორმალური, როდესაც მავთულხლართებით არის გაყოფილი საზოგადოება, ხოლო ხალხი გამოყრილია საკუთარი სახლებიდან“, – გვიზიარებს არსენ მამიტოვის შეხედულებებს შმაგი.

იყო ომი – აგვისტოს მტკივნეული ხუთი დღე. შმაგი დაბრუნდა სამშობლოში, მეგობართან კონტაქტი არ შეუწყვეტია, თუმცა ამჯერად მათი შეკრება კიდევ ერთმა ომმა განაპირობა – 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა.

„მითხრა, რომ ეს უკვე ბოლო წვეთი იყო, რუსეთში ყოფნა აუტანელი გახდა და დაინტერესდა, იყო თუ არა შესაძლებელი საქართველოში გადმოსვლა“,– იხსენებს ჩვენი თანამოსაუბრე.

თავად არსენი ამბობს, რომ ამ დრომდე საქართველოში არასდროს ყოფილა, თუმცა იცნობდა მეგობრების პოზიტიურ შთაბეჭდილებებს, მეუღლეც სტუმრობდა წლების წინ თბილისს სამსახურეობრივად, ამიტომ როდესაც რუსეთიდან წასვლა გადაწყვიტა, ერთ-ერთ ვარიანტად სწორედ საქართველო განიხილა:

„24 თებერვლის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ სადმე უნდა წავიდეთ. პირველი, თავს უსაფრთხოდ აღარ ვგრძნობდით: როდესაც შეუძლიათ, მხოლოდ იმიტომ დაგაპატიმრონ, რომ სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე რაღაც დაწერე; ან ცარიელი ტრანსფარანტით გახვედი ქუჩაში; ან 5 წლის წინ დაწერილი „პოსტისთვის“, როდესაც არანარი მსგავსი კანონი არ მოქმედებდა, ხვდები, რომ ამოსუნთქვის საშუალება არ გაქვს. ამასთან, მეუღლის საქმიანობა რეკლამას უკავშირდება. ძალიან ბევრმა მსხვილმა კომპანიამ დატოვა რუსეთი, გაყინეს პროექტები, შესაბამისად, სამუშაოს მხრივაც შეიქმნა პრობლემები. ამიტომ, გადავწყვიტეთ, უნდა ვცადოთ, თუ არის შესაძლებლობა, ვიდრე შემდეგ ვინანოთ, რომ ვისხედით და არაფერს ვაკეთებდითო. ამიტომ, შმაგის შევეხმიანე, რადგან ახლო ურთიერთობებს ყოველთვის ვინარჩუნებდით“.

არსენი არ მალავს, რომ საწყის ეტაპზე, საქართველოში მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად გამომგზავრებამდე შიშობდა, რუსული პასპორტის ფლობის ან ოსური წარმომავლობის გამო შესაძლო პრობლემების თაობაზე და ამის შესახებ მეგობარსაც ჰკითხა:

„მაგალითად მამაჩემს, საკმაოდ, ასე ვთქვათ, კონსერვატიული შეხედულება აქვს და დამარიგა, „სჯობს, არავის უთხრა, რომ ცხინვალიდან ხარ, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნასო“. მაგრამ პირიქით აღმოჩნდა – სჯობს ვთქვა, რომ ცხინვალიდან ვარ, ვიდრე რუსეთიდან, რადგან აქ ხალხი ადეკვატურია. მიუხედავად იმისა, როგორი პასპორტი გაქვს, ადეკვატური ადამიანი გეკითხება, შენ რა აზრის ხარ ომის თუ სხვა საკითხების შესახებ. როდესაც უფროსი ასაკის ადამიანები იგებენ, რომ წარმოშობით ცხინვალიდან ვარ, მეკითხებიან, იქ რა ხდება და ა.შ. ახალგაზრდები კი ამას ყურადღებას არ აქცევენ“.

ამბობს, რომ მამასთანაც შეძლო ფუნდამენტურ საკითხზე შეთანხმება:

„საწყის ეტაპზე ვნერვიულობდი, რადგან ვიცი, რომ მას საკუთარი ხედვები აქვს კონფლიქტთან მიმართებით. ინტერვიუ უნდა მიმეცა ჟურნალისტისთვის. ვფიქრობდი, რომ შესაძლოა, გაჩენილიყო კითხვა, მათ შორის, აფხაზეთთან და ცხინვალთან დაკავშირებითაც, ამიტომ, მას ბათუმიდან ველაპარაკე, „ვუთხარი, რომ ჩემი ხედვა მაქვს, მაგრამ შენი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია“ და ძალიან გამიხარდა, როდესაც ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა იმ კუთხით, რომ ომი არასდროს არავის სჭირდებოდა და ახლაც არავის სჭირდება! რომ ხალხი მშვიდობიან გარემოში უნდა ცხოვრობდეს! რომ ურთიერთობდეს ერთმანეთთან და არანაირი დაბრკოლება, საზღვარი მშვიდად გადაკვეთო, ან წახვიდე ნათესავებთან, მეგობრებთან, არ უნდა არსებობდეს! რომ არ უნდა დაუმახინჯონ ერთმანეთს ცხოვრება! აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ომი ძალიან ცუდია, მკვლელობა – საშინელება!“.

ამჟამად არსენი, რომელიც პროფესიონალი bmx-ერი (შარშან bmx შეიყვანეს ოლიმპიური ველოსპორტის სახეობაში) გახლავთ, მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს. მისი ამბიციაა, ხელი შეუწყოს bmx-ის განვითარებას საქართველოში. ამბობს, რომ დედაენის სკეიტპარკი ხარისხით და მოხერხებულობით საუკეთესოა, რაც კი აქამდე უნახავს და აქვს გზავნილი. სურს, შვილი მშვიდობიან, თავისუფალ გარემოში გაზარდოს და, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტში აქვს გზავნილი თანატოლების – ახალგაზრდებისადმი, რადგან ფიქრობს, რომ მომავალი სწორედ მათ ეკუთვნით:

„ნებისმიერი ქვეყნის წარსულში შეიძლება იპოვო კონფლიქტები, პრობლემები, მაგრამ ამ შეცდომებზე ჩვენ უნდა ვისწავლოთ და წინ ვიმოძრაოთ. ვინაიდან წლიდან წლამდე ვიზრდებით, უფრო გონიერები ვხდებით, ადამიანურ ურთიერთობებზე და საკითხების მოლაპარაკების მაგიდასთან გადაჭრის გზებზე უნდა გადავერთოთ. ეს შეიძლება, იყოს როგორც ქვეყნების დონეზე, ისე, უბრალოდ მეზობლების. ვიდრე მეზობლის მანქანას დააზიანებ, სჯობს დასხდეთ და ისაუბროთ. ყველაფერი იარაღის გამოყენების გარეშე უნდა გადაწყდეს, რადგან ადამიანი გონიერი არსებაა, მას თავი აქვს, შეუძლია ფიქრი, აზროვნება, საუბარში არგუმენტების გამოყენება და რაღაც შუალედური გადაწყვეტილების პოვნა, რომ ყველა მხარე კმაყოფილი დარჩეს“...

პირობით საზღვართან

სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი მეღვრეკისი გამყოფი ხაზიდან 500 მეტრსა და ცხინვალიდან 2 კილომეტრში მდებარეობს, მაგრამ ტერიტორიულად გორის რაიონს ეკუთვნის.

მას შემდეგ, რაც 2008 წლის საბედისწერო ომის დროს მტრისგან უმოწყალოდ იბომბებოდა, აქაურ ბავშვებს არც სასპორტო დარბაზი ჰქონდათ და არც გასართობი ცენტრი, მაგრამ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის **კახი კახიაშვილის** ძალისხმევით ვითარება სასიკეთოდ იცვლება.

ყველაფერი მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების შეძენით დაიწყო, სარემონტო სამუშაოებში კი ადგილობრივებთან ერთად თავად ფიცარნაგის დიდოსტატიც მონაწილეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ქართული ძალოსნობის ახალი კერის კეთილმოწყობა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ვარჯიშის მსურველი 30-მდე მოზარდი უკვე გამოჩნდა, მათ შორის – რამდენიმე გოგონა. სწორუპოვარი შტანგისტის თქმით, მოხარული იქნება, თუ მათ შორის მშობლიური ცხინვალელებიც იქნებიან. სხვათა შორის, მომავალ ჩემპიონთა დაოსტატების პროცესს იგი კვირაში სამჯერ მეღვრეკისის მკვიდრებთან – სპორტის ოსტატ **გივი** და **ბაკურ კახიაშვილებთან,** აგრეთვე ფედერაციის მწვრთნელ **ლევან ხუზაურაშვილთან** ერთად უძღვება, შესაბამისი ინვენტარით კი ძალოსნობის ფედერაციამ მოამარაგათ.

დავძენთ, რომ ობიექტის გახსნამდე გორის მუნიციპალიტეტის ტიტულოვანი მერი **ლადო ხინჩეგაშვილი** დარბაზამდე 100-მეტრიანი გზის გაყვანასა და გარეგანათების მოწყობას აპირებს...

ლექსო ცინცაძე

თბილისში 15 ქუჩას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მებრძოლთა სახელები მიენიჭება

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 15 ქუჩას საქართველოს ეროვნული გმირების, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მებრძოლთა სახელები მიენიჭება.

აღნიშნული ინიციატივა გუშინწინ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე განიხილეს, რომელსაც დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კომისიის სხდომა, რომელსაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე უძღვებოდნენ, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივსაცემად წუთიერი დუმილით გაიხსნა.

საკრებულოს ინიციატივით, ამ ეტაპზე, 15 გეოგრაფიული ობიექტის სახელდება განხორციელდება. მათ შორის, ვაკის რაიონში, თხინვალაში მდებარე უსახელო სკვერს გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭება; საქართველოს ეროვნული გმირის ალექსანდრე ონიანის სახელი ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას დაერქმევა; ნაძალადევის რაიონში მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას კი რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის კახაბერ თავგორაშვილის სახელი მიენიჭება. ამავე ომში გარდაცვლილი ჟურნალისტის გიგა ჩიხლაძის, ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კლიმჩუკის და ჰოლანდიელი ტელეოპერატორის სტან სტორიმანსის სახელობის ქუჩების სახელდება კი სამგორის რაიონში განხორციელდება.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, 8 აგვისტო საქართველოს უახლეს ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა, თუმცა ამავდროულად იგი გმირობასა და თავდადებასთან ასოცირდება. მისივე თქმით, საქართველო ოკუპაციას არასდროს შეეგუება.

ქართველი მებრძოლების თავდადებაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემაც ისაუბრა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, სხდომაზე მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა.

რუსული კოლონიალიზმი:

კრემლის მითები და რეალობა

პუტინის რეჟიმი საკუთარ ტყუილებში საბოლოოდ გაიხლართა. იმ მცდელობებში, რომლებშიც თავისი დანაშაულებრივი ქმედებები უნდა, რომ, გაამართლოს, პასუხისმგებლობა მსხვერპლთ და რაღა თქმა უნდა, დასავლეთს გადააკისროს, მას „პირველი ჩვენება“ ავიწყდება და უკვე ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს.

გავიხსენოთ, როგორ შემოიჭრა 2008 წელს რუსეთი საქართველოში წლებით ადრე მომზადებული გეგმითა და ვითომდა „მძინარე ცხინვალის დაბომბვის“ საბაბით, ხოლო მოგვიანებით დიმიტრი მედვედევისგან მოულოდნელი აღიარება მოვისმინეთ – „საქართველოში შეჭრის მიზეზი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების არდაშვება იყო“.

დღეს კი მსოფლიო რუსული პოლიტიკის ანალოგიურ სასწაულებს უკვე უკრაინასთან მიმართებაში ადევნებს თვალს და უნდა ითქვას, პუტინის რეჟიმის მიერ ბოლო 5,5 თვის განმავლობაში დასახელებული მიზეზების სპექტრის სიფართოვე მართლაც გასაოცარია: ჯერ იყო „დენაციფიკაცია“ და „დემილიტარიზაცია“, შემდეგ – „რუსეთზე უკრაინისა და ნატოს თავდასხმის პრევენცია“, კიდევ მოგვიანებით – „უკრაინის ბირთვულ დერჟავად ქცევის აღკვეთა“, სულ ახლახან კი – პუტინის აღიარებითი ჩვენება „პეტრე პირველის საქმის გაგრძელების – რუსული მიწების შეგროვებისა და იმპერიის აღდგენის“ თაობაზე. ამასთან, მორიგი დანაშაულებრივი ქმედების „პეტრეს საქმით“ გამართლების მცდელობისას რუსეთის ლიდერი დასავლეთს კოლონიალიზმში ამხელდა და თავად რუსეთის კოლონიალურ წარსულს კატეგორიულად უარყოფდა. ამ პროპაგანდისტულ ნარატივს ბოლო პერიოდში აქტიურად მიმართავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც.

„ჩვენი ქვეყანა, რომელსაც არ გაუსვრია სახელი კოლონიალიზმის სისხლიანი დანაშაულებით, ყოველთვის გულწრფელად უჭერდა მხარს აფრიკელებს მათ ბრძოლაში კოლონიალური წნეხის წინააღმდეგ“, – წერდა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ეგვიპტეს, კონგოს, უგანდისა და ეთიოპიის მედიაში გამოქვეყნებულ წერილებში ამ ქვეყნებში დაგეგმილ ვიზიტებამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა მსგავსი რიტორიკა რეგულარულად ჟღერს ლავროვის გამოსვლებში – არა მარტო აფრიკასთან ბმაში. მიმდინარე წლის მაისში, მაგალითად, იგი ამტკიცებდა, რომ “დასავლეთი იპყრობდა კოლონიებს, მაშინ, როცა რუსეთის იმპერია თავისი გავლენის გაფართოებისას არ უქვემდებარებდა სხვა ხალხებს საკუთარ ესთეტიკურ თუ ზნეობრივ მოთხოვნებს, რის წყალობითაც ყველა მათგანმა შეინარჩუნა ენაც, სარწმუნოებაც და ტრადიციაც“.

თუმცა ასეა კი რეალურად? მოდით, ერთად გავერკვეთ.

სანამ ისტორიაზე გადავიდოდეთ, დავიწყოთ დღევანდელობით. ცინიზმის ნამდვილ მწვერვალად აღიქმება მოსკოვის სურვილი, ეს თემები წამოსწიოს დღეს, როცა თავად ახორციელებს მთელი მსოფლიოს თვალწინ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების რუსიფიკაციას და იქიდან გააქვს ყველაფერი – დაწყებული ხელოვნების ნიმუშებით, დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ხორბლით, მზესუმზირითა და სხვა დანარჩენით.

მაგრამ თუ უკრაინაში მიმდინარე ომის ისტორია ჯერ არ დაწერილა, წარსულთან დაკავშირებით ისტორიკოსებს სრული კონსენსუსი აქვთ: იერთებდა რა ახალ-ახალ მიწებს, რუსეთი ფიზიკურად ანადგურებდა და რუსიფიკაციას უქვემდებარებდა მთელ ხალხებს, მათი ბუნებრივი რესურსების აქტიური თანდართული ექსპლუატაციით.

კოლონიალიზმის შესახებ ჯერ კიდევ რევოლუციამდელი სპეციალისტები საუბრობდნენ. **„რუსეთის ისტორია – ეს არის ისტორია ქვეყნისა, რომელიც კოლონიზდება. კოლონიზაციის არე მასში სახელმწიფო ტერიტორიასთან ერთად ფართოვდებოდა“,** – წერდა რუსული ისტორიული მეცნიერების კლასიკოსი ვასილი კლუჩევსკი.

ისტორიკოსების მიერ მოყვანილ სხვა მაგალითებს შორისაა კავკასიის ომიც – ყველაზე ხანგრძლივი რუსულ ისტორიაში (1817-1864 წ.წ.), რომლის მიზანს რეგიონის დაპყრობა წარმოადგენდა. იმაზე, თუ როგორ ხდებოდა ეს, მეტყველებს, მათ შორის, გენერალ ერმოლოვის დაპირებაც, **„ჩეჩნებს მათ ბნელ, ცივ ხუხულებში ამოვლუქავთო“.** ერმოლოვი **„მთიელების მოსათვინიერებლად“** სადამსჯელო რეიდებს ატარებდა და ეს პრაქტიკა მისმა მემკვიდრეებმაც განაგრძეს. შედეგად მოხდა ათასობით ადამიანის ფიზიკური განადგურება ან გასახლება, რომელსაც „მუჰაჯირობის“ სახელით ვიცნობთ. **„ჩერქეზებს ვძულვართ. ჩვენ ისინი უზარმაზარი საძოვრებიდან განვდევნეთ; მათი აულები გაპარტახებულია, მთელი თემები განადგურდა“,** – წერდა პუშკინი წიგნში „მოგზაურობაში არზრუმში“. რიგი ისტორიკოსები კავკასიური ომის შედეგად მიიჩნევენ ჩერქეზების გენოციდს, რომელიც, სხვათა შორის, მსოფლიოს ქვეყნებიდან ოფიციალურად ჯერ მხოლოდ საქართველოს აქვს აღიარებული. ციმბირში, ყაზახეთსა და სხვა კოლონიზირებულ ტერიტორიებზე გასახლებული კავკასიელების ადგილებზე რუსები სახლდებოდნენ.

უკვე XIX საუკუნის ბოლოს შსსთან შეიქმნა „გადასახლების სამმართველო“, რომელიც ამ პროცესს კურირებდა და გამოსცემდა ჟურნალს „კოლონიზაციის საკითხები“. სამთავრობო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა გადასახლება მიწის საკითხის გადასაწყვეტად გვიან იმპერიაშიც.

ისტორიკოსებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კავკასიის მსგავსად, კოლონიალური ხასიათი ჰქონდა მმართველობას ყაზახეთსა და ცენტრალურ აზიაშიც. რუსეთმა ყაზახური მიწების მიერთება ჯერ კიდევ იმპერიად ფორმალურ ჩამოყალიბებამდე დაიწყო, მაგრამ რეგიონის დაპყრობის პროცესი მხოლოდ 1890-იან წლებში დასრულდა. გავლენისთვის ბრიტანეთის იმპერიასთან პაექრობისას, XIX საუკუნის შუა პერიოდიდან რუსეთმა დაიპყრო მთელი დასავლეთ თურქისტანი, როგორც იმხანად რეგიონს მოიხსენიებდნენ, ავღანეთთან, ინდოეთსა და ჩინეთთან საზღვრამდე. ამ პროცესში იგი ადგილობრივ საყაენოებს იქვემდებარებდა და ხშირად აბორიგენი ხალხების ათასობით წარმომადგენელს ჟლეტდა. რეგიონის დაპყრობის ერთ-ერთ ფინალურ ეპიზოდს წარმოადგენდა გეოკ-ტეპეს ციხესიმაგრის შტურმი გენერალ სკობელევის ახალ-ტეკინის ლაშქრობისას. მაშინ, სხვადასხვა მონაცემებით, რამდენიმე ათასი თურქმენი დაიღუპა. საბჭოთა ისტორიკოსები თავის ნაშრომებში გენერლის შემდეგ სიტყვებს ციტირებდნენ: **„სიმშვიდე აზიაში პირდაპირაა დამოკიდებული იქ ამოწყვეტილი ხალხის რაოდენობასთან“. „ჩვენ ამოვჟლიტეთ ორი ათასი თურქმენი გეოკ-ტეპეში – ხმლებით ვჩეხდით ყველაფერს, რაც წინ გვხვდებოდა. ცოცხლად გადარჩენილებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს გაკვეთილი“,** - წერდა გენერალი. 1916 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, ცენტრალურ აზიაში მეფის ხელისუფლებისა და რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ მასშტაბური ჯანყი დაიწყო, რომლის საბაბად იქცა ბრძანებულება „უცხოტომელების საზურგე სამუშაოებზე რეკვიზიციის“ შესახებ. ჯანყი ხისტად ჩაახშეს, რასაც ყირგიზებისა და ყაზახების ჩინეთში მასობრივი გაქცევა მოჰყვა.

„კოლონიალურ პოლიტიკად უდანაშაულო ადამიანების ორმაგი თანდართული დევნით“ მოიხსნიებენ რეგიონში იმპერიის ქმედებებს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტის სახელმძღვანელოში, თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ **„რუსულმა ხელისუფლებამ ამ ხალხებს ცივილიზაციის სიკეთეები მოუტანა“.** ეს სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური იმპერიალისტური არგუმენტი: სწორედ „კულტურის განვრცობითა და ცივილიზაციის სიკეთეებთან წვდომის უზრუნველყოფით“ ამართლებდნენ თავის ქმედებებს თავის დროზე, მაგალითად, საფრანგეთი და ბრიტანეთიც.

რაც შეეხება უკრაინას, უკრაინელი მოღვაწეები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აცხადებდნენ, რომ მათი ქვეყანა რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. პეტერბურგში მჯდომი მთავრობა არ თვლიდა უკრაინას კოლონიად, როგორადაც ღიად აღიარებდა კავკასიასა და ცენტრალურ აზიას. იმპერიული ხელისუფლება დეკლარირებდა „დიდი რუსული ერის“ კონცეფციას, რომელშიც უკრაინელებსა და ბელარუსებს რთავდა და „რუსიფიკაციის“ პოლიტიკას ატარებდა. ამ კონცეფციას ებრძოდა არა მარტო უკრაინული ინტელიგენცია, არამედ რიგი რუსი ლიბერალი და სოციალისტიც, რომლებიც იმპერიულ ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ. წინააღმდეგობა მხოლოდ გამძაფრდა იმპერიის რღვევასთან ერთად. შეიქმნა დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფო, მაგრამ უკვე 1919 წელს კიევში ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში და კვლავ დაებრუნეს უკრაინა რუსეთის დაქვემდებარებაში. დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება „კორენიზაციის“ პოლიტიკას დეკლარირებდა, თითქოს ხელს უწყობდა კიდეც ეროვნული ენებისა და კულტურის განვითარებას, მაგრამ სტალინის დროს რუსიფიკაცია და იმპერიული იდეოლოგიის ელემენტები კვლავ დაბრუნდა. მთავარ ტრაგედიად კი იქცა 1932-1933 წ.წ. გოლოდომორი, რომელმაც დაახლოებით 3,9 მლნ უკრაინელის სიცოცხლე იმსხვერპლა. უკრაინაში იგი ოფიციალურადაა აღიარებული გენოციდად. ასეთად თვლიდა ამ ტრაგიკულ მოვლენას ტერმინ გენოციდის ავტორი რაფაელ ლემკინიც, ეყრდნობოდა რა იმ არგუმენტს, რომ იძულებითი შიმშილის კვალდაკვალ მიზანმიმართულად ისპობოდა უკრაინული ელიტა და ეკლესიაც, დაცარიელებულ სოფლებში კი რუს გლეხებს ასახლებდნენ.

საბჭოთა უკრაინის მოსკოვთან ურთიერთობების შესწავლისას ისტორიკოსმა ივანე ლისიაკ-რუდნიცკიმ ჯერ კიდევ 1972 წელს სსრკ-ის დაშლა იწინასწარმეტყველა. იგი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირი არსობრივად, კოლონიალური იმპერია იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად, ანტიკოლონიალურ იდეოლოგიას ქადაგებდა. **„რეჟიმი, რომელიც ვერდაძლევად წინააღმდეგობაში მოდის პრინციპებთან, რომლიდანაც თავად გამოჰყავს საკუთარი ლეგიტიმურობა, დიდხანს ვერ იარსებებს“,** – წერდა ლისიაკ-რუდნიცკი.

პროფესორი ეტკინდი კი თვლის, რომ რევანშიზმით შეპყრობილი რუსეთი დღესაც უკრაინასთან სწორედაც რომ დაუნდობელ კოლონიალურ ომს აწარმოებს: „ისინი მიწებს არა ოქროს ან ქვანახშირისთვის იპყრობენ, არამედ იმის გამო, რომ ეს მიწები ოდესღაც უკვე ჰქონდათ დაპყრობილი“.

თავის მხრივ, პოლონეთის მარია კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტის მეხსიერების კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი გიორგი კასიანოვი აღნიშნავს, რომ **„ყველა ყოფილი კოლონიალური იმპერია დაიშალა, ექსმეტროპოლიებმა თავისი კოლონიალური წარსული გააანალიზეს და ამისთვის ბოდიში მოიხადეს, რუსეთი კი არათუ არავის უბოდიშებს, დღესაც აგრძელებს იმავე კოლონიალურ და იმპერიალისტურ პრაქტიკას“.**

გაითვალისწინეთ ზემოთ თქმული, სანამ პუტინის რეჟიმის წარმომადგენლების ვირტუალურ ისტორიას დაიჯერებდეთ!

„აქცენტი“

◎ დოჰიოზე

თავაწეული წავიდა

89 ბაშოზე გამართული 1052 ორთაბრძოლა და მათ შორის — 516 გამარჯვება, აქედან ელიტარულ — მაკუუჩი დივიზიონში — 36 ბაშო, 540 შეხვედრა და მათ შორის — 242 მოგება.

ამ ციფრებს მიღმა პროფესიულ სუმოში **თეიმურაზ ჯუღელის** (გაგამარუ) მიერ გატარებული 17 სეზონი და იერარქიაში მე-4 საფეხურამდე — კომუსუბის რანგამდე აღზევებაა, ჯილდოებიდან კი ორჯერ დაიმსახურა სპეციალური პრიზი „მებრძოლი სულის გამოვლენისთვის“ და ერთხელ — „ოქროს ვარსკვლავი“ იოკოძუნას დამარცხებისთვის.

მართალია, გაგამარუმ უკანასკნელად 2 წლის წინათ იასპარეზა, მაგრამ სპორტიდან საზეიმოდ მხოლოდ ამ დღეებში — ამომავალი მზის ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ გააცილეს.

აღსანიშნავია, რომ ცერემონიალის მონაწილეთაგან ყველაზე ტიტულოვანმა — იმპერატორის თასის მრავალგზის მფლობელმა მონღოლმა ლეგენდამ ჰაკუჰომ ჩვენს თანამემამულეს ღირსეული პატივი მიაგო და აუცილებელი რიტუალი — მისთვის თმის შეჭრა შეასრულა.

დავძენთ, რომ 220-დან 130 კილომდე შეფერთხილ ჯუღელს იუთუბზე საკუთარი არხი აქვს და იაპონური სატელევიზიო გადაცემების ხშირი სტუმარიცაა, თან უკვე იქაურ გულისსწორთან დაოჯახებაც მოასწრო.

◎ ტატამზე

ცამეტი რჩეული

დღეს შორეულ ეკვადორში იწყება და 14 აგვისტოს დასრულდება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც 63 ქვეყნის 400-მდე კიმონიანს მოუყრის თავს.

ქალაქ გუაიაკილის ტატამზე ფავორიტის სტატუსით იჭიდავებს საქართველოს ნაკრები, რომელიც შარშან იტალიურ ოლბიაში გამართული მსგავსი ფორუმიდან სამშობლოში ტრიუმფით დაბრუნდა — 4 ოქრო (გიორგი სარდალაშვილი — 60, გიორგი შერაზადიშვილი — 81, ილია სულამანიძე — 100, საბა ინანეიშვილი +100) და 1 ბრინჯაო (ირაკლი დემეტრაშვილი +100).

მართალია, ამჯერად „ჯვაროსნებს“ 66 და 100 კილოში წარმომადგენლები არ ჰყავთ, მაგრამ სამაგიეროდ 4 წონა გაორებული აქვთ, ქალთა ტურნირში 4 მონაწილე ეყოლებათ და ბოლო დღეს გუნდურ ასპარეზობაშიც მოსინჯავენ ძალებს.

საქართველოს ნაკრები

60. გიორგი სარდალაშვილი, თორნიკე მაზიაშვილი. **73.** გიორგი ტერაშვილი, კოტე კაპანაძე. **81.** გიორგი ჯაბნიაშვილი. **90.** თორნიკე ფოლადიშვილი, აკაკი ჯაფარიძე. **+100.** ირაკლი დემეტრაშვილი, შალვა გურეშიძე. **57.** ნინო ლოლაძე. **63.** ეთერ ასკილაშვილი. **70.** ნინო გულბანი. **+ 78.** ანა შერაზადიშვილი.

◎ ოვალური ბურთი

ისტორიაში პირველად

დაიწყო რაგბიში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სანაკრებო ტურნირი „Rugby championship“ (4 ერი). განსაკუთრებულ ინტერესს მოქმედი მსოფლიო ჩემპიონის სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის დაპირისპირება იწვევდა. ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელი იყო მატჩის ასეთი განვითარება, რადგან „სპრინგბოქსმა“ „ოლბლექსი“ ძალიან დამაჯერებლად — 26:10 დაამარცხა.

ამ მარცხის შედეგად ზელანდიელებს 0.80 ქულა დააკლდათ და Live რეიტინგში მეხუთე ადგილამდე დაქვეითდნენ. ეს არის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც ახალი ზელანდიის სარაგბო ნაკრები მეხუთე ადგილამდე დაეშვა.

რეიტინგს 90.03 ქულით ირლანდია ლიდერობს. მეორეზე 89.41 ქულით საფრანგეთია, ამდენივე ქულით მესამე ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა. შემდეგ მოდის ინგლისი 86.25 ქულით.

გეტყვით იმასაც, რომ Rugby championship-ის პირველი ტურის მეორე შეხვედრაში ავსტრალიამ არგენტინა 41:26 დაამარცხა.

◎ ხუთი რგოლი

ერთბაშად 9 სახეობა

ლოს ანჯელესის 2028 წლის ოლიმპიური თამაშების საშეჯიბრო პროგრამაში მოხვედრის შანსი ერთბაშად სპორტის 9 ახალ სახეობას აქვს.

ამჟამად ოლიმპიურ პროგრამაში 28 სახეობა შედის, დამატებით 9 დისციპლინა კი განაცხადისთვის ემზადება, რომელსაც შემდგომში 2028 წლის თამაშების ორგანიზატორები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (IOC) განიხილავენ.

ლოს ანჯელესი-2028-ის პროგრამაში შესაძლოა შევიდეს: ავტოსპორტი (სავარაუდოდ კარტინგი), კრიკეტი, კარატე, ბეისბოლი/სოფტბოლი, ლაკროსი, კიკბოქსინგი, სქვოში, FLAG FOOTBALL და ბრეიქ დანსი.

ავტოსპორტი და კრიკეტი ოლიმპიურ თამაშებზე ბოლოს 1900 წელს იყო წარმოდგენილი, ლაკროსი კი — 1908 წელს. კარატე და ბეისბოლი/სოფტბოლი ტოკიო-2020-ის თამაშების პროგრამაში იყო, მაგრამ პარიზი-2024-ის მიღმა დარჩა, ბრეიქ დანსის ოლიმპიური დებიუტი კი სწორედ საფრანგეთის დედაქალაქში შედგება.

რაც შეეხება FLAG FOOTBALL-ს, კიკბოქსინგსა და სქვოშს, ისინი აქამდე არასდროს ყოფილა ოლიმპიური პროგრამის ნაწილი.

სხეულისა და სულის მკურნალი

საძართველოში ნიჭიერებითა და პროფესიონალიზმით ადამიანი რომ გააკვირვო, ძალზე ძნელია, მაგრამ როცა სრულიად ახალგაზრდა, უკვე სახელმოხვეჭილ ექიმს შეხვდები, სიხარული გეუფლება და ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს ირწმუნებ. ასეთია კავკასიის სამედიცინო ცენტრის ტრავმატოლოგი გიორგი გოგიტიძე. იგი 34 წლის არის და როცა თვალს ავლებ მის ბიოგრაფიას (მას ასობით ოპერაცია აქვს გაკეთებული) გიკვირს, ან კი როდის მოასწრო ეს ყოველივე...

ცნობილ თეატრალურ ოჯახში აღზრდილ ყმაწვილს, ალბათ, ხელოვნების მუზის სამსახურს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ... 6 წლისა იყო გიორგი, როდესაც ბიძამ, სახელგანთქმულმა ტრავმატოლოგმა ავთანდილ გოგიტიძემ ოპერაციაზე შეიყვანა და როგორც თავად ამბობს, ექიმობის სენით მოიწამლა. სწორედ ამ დღეს თქვა ბიჭუნამ, მეც ექიმი უნდა გამოვიდეო და მოგვიანებით, ბიძის შეგონებამ ეს რთული პროფესია არისო, მას ბავშვობის დროინდელი გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა, რადგან მისთვის მთავარი იყო ადამიანებს დახმარებოდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, გიორგიმ სწავლა უკრაინაში, ქ. ხარკოვში, ტრავმატოლოგიის განხრით გააგრძელა კლინიკურ ორდინატურაში, პარალელურად, ორდინატორად მუშაობდა. პირველი ოპერაცია უკრაინაში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში გააკეთა (მტევნის მოტეხილობა). სასიამოვნო მღელვარება ახლდა დამოუკიდებლად ოპერაციის გაკეთებასო — იგონებს იგი. დიახ, ეს პირველი გამარჯვება იყო 24 წლის ჭაბუკისა...

ორდინატურის დამთავრების შემდეგ, გიორგი სამშობლოში ბრუნდება და ტრავმატოლოგად იწყებს მუშაობას. მოგვიანებით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად თურქეთსა და გერმანიაში მიემგზავრება. 2017 წელს მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციის AO-ს მიერ ჩატარებულ კონფერენციაში ქ. მინსკში. იგი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო კონგრესებში გერმანიასა და თურქეთში.

ბედნიერება, უფლისაგან გამართლებაა ფიზიკური და სულიერი ტრავმით სასოწარკვეთილი ადამიანი გიორგისთან მოხვდეს. იგი უმალ შვებას ჰგვრის და მომავლის რწმენას უნერგავს იმედდაკარგულ პაციენტს, რომელიც შიშობს სამუდამოდ არ მიეჯაჭვოს საწოლს. მძიმე ტრავმისა და ურთულესი ოპერაციების (ენდოპროტეზირება, ართროსკოპია,სხვადასხვა ორთოპედიული და სრულად ტრავმული ოპერაციები) შემდეგ, როცა პაციენტი ხანმოკლე დროში და ზოგჯერ რამდენიმე დღეში სიარულს იწყებს, ეს სიცოცხლის ხელმეორედ მინიჭებაა. ამ მონაპოვრის გაფრთხილებისა და შენარჩუნების წადილი პაციენტს უძლიერდება გიორგის მიერ გაწეული უდიდესი შრომისა და ძალისხმევის დასაფასებლადაც.

გიორგი დინჯი, აუღელვებელი და მშვიდია, რაც ძალზე გადამდებია პაციენტისათვის. მისთვის არ არსებობს დღე და ღამე, წუთი მოცლა არ აქვს, მაგრამ ყველაფერს ასწრებს და ამით არის იგი ბედნიერი. ყოველ ოპერაციაში სიცოცხლეს ვდებო, გვითხრა, მე კი დავამატებ, თითოეული ოპერაციით სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩუქნის ადამიანებს.

გიორგის უნიკალური მეხსიერება აქვს. სასიამოვნო გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ, მას პაციენტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მცირე დეტალებიც კი ახსოვს წლების შემდეგაც. მისი მაღალი პროფესიონალიზმი, პაციენტებისადმი ყურადღებიანი, გულთბილი და ჰუმანური დამოკიდებულება, მართლაც სამაგალითოა. იგი სულით ხორცამდე ექიმია.

ზემოთ ვახსენე, რომ გიორგი თეატრალური ოჯახიდან არის. დიახ, მისი ბებია ქალბატონი ლილი კოპლატაძე საქართველოს ტელევიზიაში დაარსების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თეატრალური განყოფილების მთავარ რედაქტორად, კონსტუდიაში სატელევიზიო სპექტაკლების არქივი შექმნა და იქვე რამდენიმე ათეული ქართული ფილმის რედაქტორი გახლდათ. დედა — ქალბატონი მზია ლომთათიძე საქართველოს ტელემაუწყებლობაში შესანიშნავი თეატრალური პროექტის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ იდეისა და გადაცემის ავტორია.

მადლობა უფალს, რომ ღირსეულ ოჯახში ღირსეული შვილი აღიზარდა, რომელიც ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. გიორგი არა მარტო სხეულის, არამედ სულის მკურნალიცაა. ბედნიერებაა მასთან ყოველი შეხვედრა.

ღმერთმა გვიმრავლოს გიორგის მსგავსი დასტაქრები და ადამიანები.

გულიკო მამულაშვილი

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ პალმ ბიჩში (ფლორიდის შტატი) მდებარე დონალდ ტრამპის სახლში ჩხრეკა ჩაატარა. ინფორმაციას ამის შესახებ თავად დაზარალებული ავრცელებს.

დონალდ ტრამპის ადვოკატმა, კრისტინა ბობმა დაადასტურა, რომ **FBI**-მ მარ-ა-ლაგოს რეზიდენციიდან დოკუმენტები ამოიღო. დონალდ ტრამპმა მომხდარს „ჩვენი ქვეყნისთვის ბნელი დრო“ უწოდა და აღნიშნა, რომ ეს ქმედება არაფრით განსხვავდება უოტერგეიტის სკანდალისგან.

მიმდინარე წლის თებერვალში აშშ-ის ეროვნული არქივის ადმინისტრაციამ კონგრესს აცნობა, რომ ფლორიდაში მდებარე დონალდ ტრამპის სახლიდან დაახლოებით 15 ყუთი დოკუმენტები ამოიღო, რომელთაგან ზოგიერთი საიდუმლო მასალებს შეიცავდა.

ტრამპის ბინა გაჩხრიკეს

„ეს ბნელი დროა ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან ჩემი მშვენიერი სახლი პალმ ბიჩში ამჟამად ალყაშია და FBI-ს აგენტების დიდი ჯგუფის მიერ არის დაკავებული. მსგავსი რამ არასდროს მომხდარა. შესაბამის სამთავრობო უწყებებთან მუშაობისა და თანამშრომლობის შემდეგ, ჩემს სახლში ეს გამოუცხადებელი რეიდი არ იყო საჭირო ან მიზანშეწონილი.

ეს არის პროკურატურის მხრიდან გადაცდომა, მართლმსაჯულების სისტემის იარაღად გამოყენება და რადიკალური მემარცხენე „დემოკრატების“ თავდასხმა.

ასეთი თავდასხმა მხოლოდ მესამე მსოფლიოს ქვეყნებში შეიძლება განხორციელდეს. სამწუხაროდ, ამერიკა ახლა მესამე მსოფლიოს ერთ-ერთი ქვეყანა გახდა, უპრეცედენტო კორუფციით.

პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკური დევნა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა (...) ის (პოლიტიკური დევნა) უბრალოდ არასდროს დასრულებულა.

მე წინ აღვუდექი ამერიკის ბიუროკრატიულ კორუფციას, დავუბრუნე ხალხს ძალაუფლება. ისტებლიშმენტს ეს სძულდა. ახლა, როდესაც ხედავენ ჩემს დომინირებას ყველა გამოკითხვაში, ისინი ცდილობენ კიდევ ერთხელ შემაჩერონ. უკანონობა, პოლიტიკური დევნა და კუდიანებზე ნადირობა უნდა გამოაშკარავდეს და შეწყდეს. მე გავაგრძელებ ბრძოლას დიადი ამერიკელი ხალხისთვის!“ – ნათქვამია დონალდ ტრამპის განცხადებაში.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი
სესხის #: 3520-G
დავალების სახელწოდება: **გარემოს დაცვის ადგილობრივი კონსულტანტი**
საიდენტიფიკაციო№: **BBRP/CS/ICS-14**

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისაგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გარემოს დაცვის ადგილობრივი კონსულტანტი.**

დავალების მიზანი:

გარემოს დაცვის ადგილობრივი კონსულტანტი დაეხმარება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს იმის უზრუნველყოფაში, რომ განხორციელებული სამშენებლო სამუშაო შეესაბამებოდეს ეროვნულ გარემოსდაცვით კანონებსა და რეგულაციებს, მკაცრად იყოს დაცული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმები (EMPs), რომლებიც მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშებში.

გარემოს დაცვის ადგილობრივი სპეციალისტის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები (დეტალები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში):

- ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაქირავებულ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო საკონსულტაციო კომპანიის ყოველთვიური გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშების დროულ მიღებას, შეაფასოს ანგარიშები და საჭიროებისამებრ გაუწიოს რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისათვის; EMP-ის დარღვევის შემთხვევაში, შეამოწმოს ზედამხედველის მიერ რეკომენდებული მაკორექტირებელი ღონისძიებების ადეკვატურობა, ზედამხედველობა გაუწიოს დაფიქსირებულ დარღვევებს და დადგენილი მაკორექტირებელი ზომების გამოყენებას; დაეხმაროს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საჩივრების მოგვარებაში;
- განახორციელოს რეგულარული საველე ვიზიტები პროექტის ლოკაციებზე ზედამხედველის ანგარიშებში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის გადამოწმების მიზნით და უზრუნველყოს გზების დეპარტამენტის უშუალო მონიტორინგი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმდინარე და/ან მაღალი რისკის მქონე გარემოსდაცვით საკითხებზე;

მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო სამუშაოებისთვის დამატებით სპეციფიკურ გარემოსდაცვით კვლევაში და/ან სპეციფიკური EMP–ების შემუშავებაში, დაეხმაროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და მის კონსულტანტებს (საჭიროების შემთხვევაში) პროექტის განხორციელებაში;

- მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოსდაცვითი სამსახურის თანამშრომლებთან, რათა ჩართული იყოს ყველა მიმდინარე საკითხში და გაუწიოს შესაბამისი დახმარება;
- გაუწიოს დახმარება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდგომი პროექტებისთვის მომზადებული EMP-ების და ანგარიშების განხილვაში და დახვეწაში, კონსულტანტებთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფაში; დაეხმაროს საჭირო გარემოსდაცვითი ლიცენზიების და ნებართვების აღებაში.
- მონაწილეობა მიიღოს საჯარო შეხვედრებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად;

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია/გამოცდილება:

- უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგში.
- სასურველია 8 (რვა) წლიანი სამუშაო გამოცდილება საბუნებისმეტყველო დარგში, საიდანაც სასურველია 3 (სამი) წლიანი გამოცდილება აღნიშნული დავალების მსგავს დავალებებში.
- შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები გარემოსდაცვითი საკითხების მართვის კუთხით. ინფრასტრუქტურულ პროექტებში გარემოსდაცვითი მართვის (სასურველია ზედამხედველობის დავალებები) პრაქტიკული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოსდაცვითი შეფასებებისა და მართვის დაგეგმვისა და/ან ასეთი გეგმების განხორციელების (საგზაო პროექტებში პრაქტიკული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად) პრაქტიკული გამოცდილება;
- საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების ცოდნა;
- სამუშაო გამოცდილება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში, სასურველია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში (აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);
- ინგლისურ და ქართულ ენებზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის სრულყოფილად ცოდნა.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე (უწყვეტი) ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

დაინტერესებული კონსულტანტები კონკურსში მონაწილეობის მიზნით უნდა მიჰყვნენ შემდეგ ბმულს:

https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=180662

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Batumi Bypass Road Project (BBRP)
Loan No. 3520-GEO
Assignment Title: **National Environment Specialist**
Reference No: **BBRP/CS/ICS-14**

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) and Asian Infrastructure Investment Bank (AIIB) toward the cost of **the Batumi Bypass Road Project (BBRP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible individual consultants to express their interest for the following Consultancy Service: **National Environment Specialist**.

The objective of the assignment:

The National Environment Specialist will support RD to ensure that all physical works comply with the national environmental laws and regulations and strictly, follow the Environmental Management Plans (EMPs) provided as a part of the Environmental Impact Assessment (EIA) reports.

The duties and responsibilities of Environment Specialist are as follows (the further details are provided in the Terms of Reference):

- Track timely receipt of the monthly environmental monitoring reports from the construction supervision consultant firms hired by the RD, assess these reports and provide recommendations for their improvement as required, check adequacy of the corrective measures recommended by the supervision consultants in case of EMP violations; track follow-up on the recorded violations and application of the prescribed corrective measures; provide assistance in resolution of environmental complaints;
- Undertake regular field trips to the project sites for verifying relevance and coverage of the factual information provided in the supervision consultant's reports, and providing RDs direct oversight of the outstanding and/or high-risk environmental issues related to the project implementation;
- Participate in carrying out any supplemental site-specific environmental studies and/or developing site-specific EMPs and assist RD and its consultants (if relevant) if and as required in the course of the projects' implementation.
- Closely collaborate with the RD environmental staff to ensure involvement in all current issues and provide relevant assistance.
- Assist RD in review and refinement of EMPs and semi-annual reports and accordingly ensure close collaboration and cooperation with the consultants. Support in obtaining the relevant environment permits/licenses required by the Government authorities;
- Participate in public meetings together with the RD staff.

The National Environment Specialist shall have the following qualifications and experience:

- A university degree in the field of natural science;
- A qualified professional in the field of natural science with preferably 8 (eight) years of work experience, out of which preferably 3 (three) years shall be similar to the proposed assignment;
- Relevant practical skills in environmental management. Hands-on experience in environmental management (preferably supervision assignments) of infrastructure development projects will be an advantage;
- Practical experience in carrying out environmental assessments of and management planning for infrastructure development projects, and/or implementing such plans (practical experience in road projects will be an advantage);
- Knowledge of the Georgian environmental law, regulations, and standards;
- Working experience in environmental-related issues preferably under the projects funded by International Financial Institutions (experience of working in/for ADB funded projects will be an advantage);
- Superior verbal and writing communication skills in English and Georgian languages;

The estimated duration of assignment is 12 months (continuous) with possibility of contract extension.

Interested individuals shall follow the link to participate in the selection:

https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=180662

Selection will be done according to the recruitment of individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at **http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)**

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის -60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის (2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების გრიგოლ ლომიძის (პ/ნ 56001003112), ანზორი ლომიძის (პ/ნ 01019089038), ირმა გოგოლაძის (პ/ნ 56001020020) და ნინო ლომიძის (პ/ნ 01019089418) (შემდგომში - მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხუნევში მდებარე, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მთლიანი მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.08.34.206) ფართობით 1260 კვ.მ. და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 04 მაისის 1-1/202 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების: გრიგოლ ლომიძის (პ/ნ 56001003112), ანზორი ლომიძის (პ/ნ 01019089038), ირმა გოგოლაძის (პ/ნ 56001020020) და ნინო ლომიძის (პ/ნ 01019089418) თანასაკუთრებაში არსებულ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხუნევში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთლიან მიწის ნაკვეთზე (ს/კ 36.08.34.206) ფართობით 1260 კვ.მ-ზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 213-ე კმ-ში ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის (რამპის) აღდგენის სამუშაოებს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ფარნაოზი მაჩიტიძის (პ/ნ 21001010555) (შემდგომში - მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე, შემდეგი უძრავი ქონება:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.259) მთლიანი ფართობის 894 კვ. მეტრის ნაწილი - 52 კვ. მეტრი;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.226) მთლიანი ფართობის 1325 კვ. მეტრის ნაწილი - 150 კვ. მეტრი;
3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.238) მთლიანი ფართობის 2020 კვ. მეტრის ნაწილი - 226 კვ. მეტრი (შემდგომში ერთად - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 05 აგვისტოს 1-1/339 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე ფარნაოზი მაჩიტიძის (პ/ნ 21001010555) საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე, კერძოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა სიმონეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.259) მთლიანი ფართობის 894 კვ. მეტრის ნაწილზე - 52 კვ. მეტრზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.226) მთლიანი ფართობის 1325 კვ. მეტრის ნაწილზე - 150 კვ. მეტრზე და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 33.05.36.238) მთლიანი ფართობის 2020 კვ. მეტრის ნაწილზე - 226 კვ. მეტრზე

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ღირსი გიორგი მაშენებელი - ათონელი ქართველი

10 აგვისტოს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს გიორგი მაშენებელს, ათონის ივერთა მონასტრის მესამე იღუმენს.

...როგორც ათონელ წმიდა მამათა ცხოვრების აღმწერელი გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, მონასტრის პირველმა იღუმენმა ღირსმა იოანემ თავის შვილს, ღირს ექვთიმეს გადააბარა წინამძღვრობა და თან დაუბარა: **„შემდგომად თავისა... რაითა გიორგის დაუტეოს მამობაი, რომელ იგი თვისივე იყო მათი, სახელოანი და ფრთხილი ხორციელთა საქმეთა ზედა“.**

საგულისხმოა, რომ გიორგი იოანეს ძმის შვილი იყო. ივერონის წინამძღვარს დიდ პატივს სცემდნენ ბიზანტიის იმპერატორის კარზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ცილი დასწამეს გიორგი მაშენებელს და კუნძულ მონოვატზე გადაასახლეს... ის იქვე აღესრულა.

გიორგის გადასახლება საბედისწერო შეიქმნა ივერთა ლავრისათვის, ათონელ ქართველებს მძიმე ვითარება შეუქმნეს. ქართველმა ბერებმა გიორგის ცხედარი მონოვატიდან ათონს გადმოავენეს და მისთვის საგანგებოდ გამზადებულ მარმარილოს ლუსკუმაში ჩაასვენეს. ათონის ივერთა მონასტერში წმიდა გიორგი მაშენებლის ხსენება იოანესა და ექვთიმესთან ერთად აღესრულება.

გიული ლიპარტია

გადაარჩინეს 70 წლის ტურისტი!

მესტიაში მაშველებმა 70 წლის ტურისტი გადაარჩინეს, — ამის შესახებ ინფორმაციას მოქალაქე ირინა კვიციანი სოციალურ ქსელში ავრცელებს. როგორც ის წერს, მამაკაცი უცხოეთის მოქალაქეა და მათთან სტუმრად იმყოფებოდა. ტურისტს მაშველები ორი დღე-ღამის განმავლობაში ტყეში და კლდეებზე ეძებდნენ, რადგან მან მაშველებს არასწორი ადგილმდებარეობა მიუთითა.

მამაკაცმა, რომელსაც სმენის და მხედველობის პრობლემა აქვს, ორი ღამე წყვდიადში, 200 მეტრის სიმაღლეზე, საკვების და წყლის გარეშე გაატარა. საბოლოოდ კი მესტიის სამაშველო სამსახურის თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომის შედეგად ცოცხალი და უვნებელი დაუბრუნდა მასპინძელ ოჯახს.

როცა ღმერთი არ გაწირავს...

„პირველი, რაც მე-8 სართულიდან ლიფტის კაბინის ჩავარდნისას მოვიმოქმედე, ბავშვის ხელში აყვანა იყო. მერე ძლიერი დაცემა ვიგრძენი, ყველაფერი დაბნელდა და აღარაფერი მახსოვს... ამის შემდეგ დაიწყო მკურნალობის გრძელი, ძალიან გრძელი გზა“...

დავით გობეჯიშვილის პატარას ძალიან გაუმართლა — ბავშვი ინციდენტს მსუბუქი დაზიანებებით გადაურჩა. 49 წლის მამაკაცისთვის კი უბედური შემთხვევის შედეგები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა.

მას მრავლობითი სერიოზული მოტეხილობები აღენიშნებოდა, მათ შორის — წელის მეოთხე მალის, სხეულისა და მორჩების ფრაგმენტოვანი მრავლობითი მოტეხილობა დისლოკაციითა და კომპრესიით, მარჯვენა დიდი წვივის ძვლის დიაფიზის ღია, მცირე წვივის ძვლის მრავალფრაგმენტოვანი, მარჯვენა წვივის მედიალური გოჯისა და მარჯვენა მხრის ძვლის პროქსიმალური მოტეხილობები. პაციენტს ოპერაციული მკურნალობა სხვა კლინიკაში ორჯერ დასჭირდა, თუმცა როგორც თავად ჰყვება, გაუსაძლისი დისკომფორტი გარკვეული პერიოდულობის შემდეგ კვლავ მძაფრდებოდა.

„ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში ძლიერი ტკივილის ჩივილებით მივედი. წელის ტკივილი მარჯვენა ფეხზე გადამეცემოდა, მქონდა საერთო სისუსტე და ხშირი დაბუჟება, ძალის დაქვეითება. სწორედ იქ შევხვდი ასლან გერმანიშვილს, ნეიროქირურგს, რომელმაც არა მხოლოდ ჩემს დიაგნოზს, არამედ ჩემს უიმედობასაც უმკურნალა. მან მომცა რწმენა, რომ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებოდი,“ — იხსენებს პაციენტი.

ნეიროქირურგების გუნდმა ასლან გერმანიშვილის ხელმძღვანელობით ქირურგიული ჩარევა დაგეგმა და პაციენტს არსებული დისკომფორტებისა და ტკივილის მოხსნის პირობა მისცა. ჩატარდა ოპერაცია: ჩაყენებული ჭანჭიკების რევიზია — ტრანსპედიკულური ფიქსაცია, ლამინექტომია/მოტეხილი ფრაგმენტის ამოღება, ფორამინოტომია — მარჯვენამხრივი წელის 4/5 მალების დონეზე ფესვების დეკომპრესია, რაც წარმატებით დასრულდა.

როგორც დავით გობეჯიშვილი ამბობს, მისმა ექიმმა პირობა შეასრულა: მკურნალობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მამაკაცმა ცხოვრების ჩვეული რეჟიმი და ხალისი დაიბრუნა.

რუსეთის ტურისტები აღარ სტუმრობენ

რუსეთის ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით ქვეყანაში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 95 პროცენტით არის შემცირებული. აგრესორ რუსებს, ფაქტობრივად, 2022 წლის სეზონი ჩუვარდათ. ამ დროამდე ყველაზე მეტი ადამიანი, ჩვენს მეზობლებს ევროპის, ჩინეთის, იაპონიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან სტუმრობდნენ. ახლა კი ეს ბაზარი პრაქტიკულად შეჩერებულია.

გასულ წლებში ტურიზმი რუსეთს წელიწადში 11 მილიარდ დოლარზე მეტ შემოსავალს აძლევდა. 2022 წელს ეს მაჩვენებელი, როსტურიზმის პროგნოზით, 2 მილიარდ დოლარამდე დაეცემა, ანუ 5-ჯერ შემცირდება. უცხოელების ნაკადის კლება ერთდროულად მრავალი ფაქტორით არის გამოწვეული: ეს არის რუბლის კურსი, კოვიდშეზღუდვები (ჯერ კიდევ საჭიროა PCR ტესტი), Visa/Mastercard-ით გადახდის შეუძლებლობა, უცხოური ბრენდების გაუქმება, ელექტრონული ვიზის უქონლობა, პირდაპირი ფრენების არარსებობა ზოგიერთი ქვეყნიდან, – უხეშად, რომ ვთქვათ, ერთმორწმუნე რუსეთს აგრესია და ომი ყველა სფეროში ძვირზე ძვირი უჯდება.

ჩვენებური ბიჭი მოდის, მიმდევრებს ისევ აოცებს!

„ბალენსიაგას“ სახლის კრეატიული დირექტორი დემნა გვასალია თავისი ორიგინალობით, რომ გამოირჩევა, ახალი ამბავი არ გახლავთ. საქართველოში ხშირად ხუმრობენ, ბებიების დროინდელი ჩითის კაბებით და ლილოს ბაზრობის ჩანთებით მოდას აყოლილებს, სოლიდურ თანხებს ახარჯვინებსო ჩვენებური ნიჭიერი მოდელი...

დიზაინერმა ამჯერადაც მორიგი სკანდალური კოლექცია შექმნა – ჩანთები, რომელიც ძალიან ჰგავს უბრალო ნაგვის ცელოფნებს. ერთლარიანი, ნაგვის ცელოფნით შთაგონებულ ჩანთას, მსოფლიოს წამყვანი მოდის სახლი 1790 დოლარად ყიდის.

აქსესუარმა, მოდის ჩვენების შემდეგ, წარმომავლობით, ჩვენი მეზობელი ვარსკვლავის, ასევე სკანდალური კიმ კარდაშიანის კოლექცია დაამშვენა. ჩანთა ტყავისაა და იგი შავ, თეთრ, ცისფერ და ყვითელ ფერებშია ხელმისაწვდომი.

„მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნაგვის ცელოფნის მსგავსი, ჩანთის შექმნის შესაძლებლობას ხელიდან როგორ გავუშვებდი. ვის არ უყვარს მოდაში სკანდალი?“, – განაცხადა დემნამ ჩვენების შემდეგ.

ადამიანებს დასვენება მოენატრათ...

მსოფლიოს ყველაზე პოპულარულმა, ტურისტული ჯავშნების ონლაინ პლატფორმამ 2022 წლის რეკორდული ზრდა დაადასტურა. Airbnb-ის განცხადებით, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა და საცხოვრებელ ობიექტებზე ფასების კატასტროფული ზრდისა, მოგზაურობაზე მოთხოვნა ძალიან მაღალია. მეორე კვარტალში, ანუ აპრილიდან ივლისამდე პერიოდში, პლატფორმაზე მომხმარებელთა 104 მილიონი ჯავშანია დადასტურებული, რაც Airbnb-ის რეკორდია.

კომპანიის განცხადებით, გრძელვადიანი ჯავშნების რაოდენობა კვლავ მაღალია. ამის მიზეზი დისტანციური სამსახურების ზრდაც გახლავთ. თუმცა, გარდა ამისა, სწრაფი ტემპებით აღდგენას განაგრძობს საერთაშორისო მოგზაურობაც.

2022 წლის მეორე კვარტალში ჯავშნების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 24%-ით გაიზარდა, კომპანიები პანდემიის შემდგომი აღდგენის პროცესს სწორედ 2019 წელთან შედარებით ზომავენ. ჯავშნების რაოდენობის მატებამ, ბუნებრივია, Airbnbb-ის შემოსავლებიც გაზარდა. გასულ წელთან შედარებით, კომპანიამ შემოსავლების სახით 58%-ით მეტი, 2.1 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. მათი განცხადებით, ჩრდილოეთ ამერიკა კვლავ ლიდერობს ტურისტების რუკაზე. ამ რეგიონში ჯავშნების რაოდენობა, 2019 წელთან შედარებით, 37%-ით გახლავთ გაზრდილი. უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურთა საკმაოდ დიდი ნაკადია შემოსული საქართველოშიც. რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და ლარის კურსზე.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

ბრიტანული მუზეუმი ნიგერიაში 70-ზე მეტ არტეფაქტს დააბრუნებს

ლონდონში მდებარე ერთ-ერთი მუზეუმი ნიგერიის მთავრობას 72 არტეფაქტს გადასცემს. არტეფაქტებს შორისაა დაფები, რომლებიც ოდესღაც ბენინის სამეფო სასახლის კედლებზე იყო განთავსებული, ასევე – მეფის სასახლის გასაღები.

არტეფაქტების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ნიგერიის მუზეუმებისა და ძეგლების ეროვნული კომისიის ოფიციალური მოთხოვნა, რომლითაც ბრიტანულ მუზეუმს იანვარში მიმართეს.

ნაძარცვს ნახევარი საუკუნის შემდეგ მიაკვლიეს

სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთში, ტამილნადუს შტატში მდებარე ტაძრიდან 50 წლის წინ მოპარული ქალღმერთ პარვატის ქანდაკებას ნიუ-იორკში მიაკვლიეს. ქალღმერთის მე-12 საუკუნეში შექმნილ გამოსახულებას „ბონჰამსის“ აუქციონის სახლში მიაგნეს. „ბონჰამსი“ არის აუქციონის კერძო საერთაშორისო სახლი, რომლის სათაო ოფისი ლონდონში მდებარეობს.

პოლიციის ცნობით, მზადდება საბუთები, რათა ქანდაკება უკან, ინდოეთში დააბრუნონ. ქანდაკება, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 52 სანტიმეტრია, ერთ-ერთია ხუთ ქანდაკებას შორის, რომელიც ინდური ტაძრიდან ათწლეულების წინ დაიკარგა.

„ჩვენ გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ ქანდაკების მესაკუთრის გამოცხადება, ვინაიდან ინდოეთი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის 1972 წლის კონვენციის ერთ-ერთი ხელმომწერია“, – აცხადებენ პოლიციაში. აუქციონის სახლს ჯერ ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოთა საჩუქარზე უარი თქვა

ჰელსინკში აიღეს მონუმენტი „მშვიდობა მსოფლიოში“, რომელიც საბჭოთა კავშირმა აჩუქა ფინეთს. იტყობინება ფინეთის ეროვნული მაუწყებელი Yle.. მაუწყებლის ცნობით, ძეგლი, რომელიც ჰ აკანიმენრანტას ქუჩაზე იდგა, დღეს დილით კვარცხლბეკიდან აიღეს და ქალაქის ხელოვნების მუზეუმის საწყობში გაგზავნეს. მის ბედს მოგვიანებით ჰელსინკის მერია და მუზეუმის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

ჰელსინკის მერიამ მონუმენტის დემონტაჟი ქუჩასა და მიმდებარე მოედანზე სატრანსპორტო მოძრაობის რეორგანიზაციით ახსნა. ძეგლის ადგილას ტროტუარი მოეწყობა. 6.5 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს კომპოზიცია „მშვიდობა მსოფლიოში“ საბჭოთა მოქანდაკეს, ოლეგ კირიუხინს ეკუთვნის. ის ასახავს ადამიანებს სხვადასხვა კონტინენტიდან, რომელთაც ზეცისკენ აქვთ ხელები აპყრობილი და გლობუსი უჭირავთ.

კრემლმა მონუმენტი ფინეთს 1989 წელს უსახსოვრა. გაიხსნა 1990 წლის იანვარში, ბერლინის კედლის დანგრევიდან მალევე. მონუმენტის გახსნას არაერთხელ მოჰყვა კამათი ფინელ საზოგადოებაში. მას არაერთხელ დაესხნენ თავს ვანდალები. მონუმენტის დემონტაჟის აუცილებლობის შესახებ დებატები ბოლო თვეებში გაჩაღდა უკრაინაში რუსეთის სამხედრო შეჭრის ფონზე.

ასეთი წვიმა თითქმის საუკუნეა, არავის ახსოვს

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში, ძლიერი წვიმით გამოწვეულ წყალდიდობას სულ მცირე 8 ადამიანი ემსხვერპლა, 14 კი, დაშავდა. ღამით მოსულმა ძლიერმა ნალექმა დატბორა გზები, მეტროსადგურები, გამოიწვია ელექტროენერგიის გათიშვა სეულსა და მის მეზობელ პროვინციებში.

სამხრეთ კორეის მეტეოროლოგიური სააგენტოს ინფორმაციით, ზოგიერთ რაიონში, ბოლო 80 წლის განმავლობაში, ნალექის ყველაზე დიდი მაჩვენებელი აღრიცხეს. სინოპტიკოსების თქმით, წვიმა, შესაძლოა, რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ეანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 12 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7141; ევრო - 2.7662
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2835;
100 რუბლი - 4.5071; თურქული ლირა - 0.1522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6007;
1000 სომხური დრამი - 6.6998.

ამინდი 10 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე	+18, დღე +35
მთიანი რაიონები -	ღამე	+14, დღე +32
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე	+20, დღე +37
მთიანი რაიონები -	ღამე	+17, დღე +35
თბილისი:	ღამე	+23, დღე +35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge